№3 (7094) 16 თებერვალი,
შაბათი, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## biZina ivaniSvilis mesame gamosvla

*ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის რანგში მედიასთან რიგით მე-3 მასშტაბური შეხვედრა გამართა. პრემიერმა საუბარი მთავრობის 100-დღიანი საქმიანობის შეჯამებით დაიწყო და სამომავლო გეგმებსაც შეეხო.*

>>>>>>>>>> 3-5

## ჭალადიდის თემში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემში 14 თებერვალს 13.00 საათზე იუსტიციის მინისტრის მოადგილემ დავით ჯანდიერმა,სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან სამადაშვილმა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კახაბერ ბენიძემ საზოგადოებრივი ცენტრი გახსნეს.

საზოგადოებრივ ცენტრში ადგილობრივი მოსახლეობა ერთ სივრცეში 200-ზე მეტ სახელმწიფო სერვისს სოფლიდან გაუსვლელად მიიღებს. სერვისების ჩამონათვალშია ყველა ის ძირითადი მომსახურება, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სერვისებს წარმოადგენს და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის მეშვეობით ხორციელდება. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით, საოფისე ინვენტარებით, ინტერნეტით რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის სრულ მომსახურებას კომფორტულ გარემოში უზრუნველყოფს.

გარდა სახელმწიფო სერვისებით მომსახურეობისა საზოგადოებრივ ცენტრში ხელმისაწვდომი იქნება შპს „მაგთიკომის“, სს „ლიბერთი ბანკისა“ და სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ მომსახურება. დაინტერესებული პირი კვალიფიკაციურ კონსულტაციას მიიღებს სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო დახმარების პროგრამებისა და სხვა საკითხებზე ისარგებლებს უფასო ინტერნეტითა და შეხვედრების ოთახით.

ჭალადიდის საზოგადოებრივი ცენტრი აშენდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ახალი ინიციატივის ფარგლებში, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვას ითვალისწინებს.

საზოგადოებრივი ცენტრების სერვისებია :

**მიწის რეგისტრაცია, დაზღვევა, სოციალური დახმარება, სახელმწიფო პენსია, უძრავი ქონების გადაფორმება, ამონაწერი უძრავი ქონების შესახებ, უძრავი ქონების ამონაწერის განახლება, მშენებლობის ნებართვა, კომუნალური გადასახადები, პლასტიკური ბარათის დამზადება, თანხის განაღდება, გზავნილები, პასპორტი და პირადობის მოწმობები, სულადობის ცნობა, საკადასტრო გეგმის მომზადება, სანოტარო მომსახურება, შენობის დემონტაჟის ნებართვის გაცემა, განაცხადის მიღება საკუთრების გაყოფა/ გაერთიანებაზე, ინტერნეტი, კავშირგაბმულობა, ტელევიზია და მრავალი სხვა...**

**საკონსულტაციო მომსახურება;**

**სოფლის მეურნეობა, იურიდიული საკითხები, მიგრაცია (შრომითი, სტუდენტური და სხვა), სახელმწიფო და კერძო სერვისები.**

**24/7 მომსახურება;**

**ბანკომატი, გადახდის აპარატი, სკაიპი.**

**საზოგადოებრივი ცენტრისა და მასში განთავსებული ინფრასტრუქტურის გამოყენება შესაძლებელია შეხვედრების გასამართად, პრეზენტაციის ჩასატარებლად, აუდიო და ვიდეო კონფერენციის მოსაწყობად და სხვა.**

საზოგადოებრივი ცენტრის მიზანია სოფლის განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნა,რომელსაც აქტიურად გამოიყენებს ადგილობრივი მოსახლეობა.

## პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია

7 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტში ჩატარდა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს ხობის რაიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კონფერენცია. შეკრება გახსნა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ედიშერ ჯობავამ და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვარაზ გაბედავას კანდიდატურა, რომელიც არჩეულ იქნა კონფერენციის მონაწილეების მიერ.

კონფერენციაზე აირჩა რაიონული ორგანიზაციის ბიუროს შემადგენლობა : ვარაზ გაბედავა (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), ედიშერ ჯობავა, ლევან ქავთარაძე, დოდო გაბუნია და ქეთევან ოდიშარია.

არჩეულიქნენ პარტიის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატები : შერმადინ ბუკია, რამაზ შულაია, ინგა ჩხაიძე.

## პირველ ხორგაში იოანე ნათლისმცემელის სახელობის ტაძარი გაიხსნა

7 თებერვალს, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ხსენების დღეს, ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ ხორგაში იოანე ნათლისმცემელის სახელობის ტაძარი გაიხსნა. წირვა-ლოცვა აღავლინა და ტაძარი აკურთხა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა, ჭყონდიდელის მიტროპოლიტმა პეტრემ და ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ. ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდელოებასა და მრევლთან ერთად დღესასწაულს დაესწრო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს ხელმძღვანელი პირები.

## დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით ლიტერატურული საღამო ჩატარდა

8 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით ლიტერატურული საღამო ჩატარდა. ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა საზოგადოებას წარუდგინეს დავით აღმაშენებლის ბიოგრაფია, ლექსები და ჩანახატები, მოეწყო ლიტერატურული გამოფენა. დამსწრეთა შორის იყვნენ მოსწავლეები, რომლებიც აქტიურობით გამოირჩეოდნენ.

საღამოს ესწრებოდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფერიდე გოგია.

საღამოს დასასრულს გამოითქვა სურვილი, რომ მსგავსი ღონისძიებები ხშირად ჩატარდეს.

## ხანძარი საჯიჯაოს თემში



14 თებერვალს, დაახლოებით 21.00 საათზე, ხობის მუნიციპალიტეტის საჯიჯაოს თემის ტყეში ხანძარი გაჩნდა. ცეცხლი მოედო თხილნარებსა და ჩაის პლანტაციებს, რომელმაც დაახლოებით 30 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გადაწვა. მობილიზებული იყვნენ ხობის, სენაკის, ზუგდიდისა და ჩხოროწყუს სახანძრო სამაშველო ბრიგადები. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი კახაბერ ბენიძე, გამგებლის მოადგილეები მახარე ჩოკორაია და როსტომ კილასონია. ხანძარი გვიან ღამით 03:30 საათზე იქნა ლიკვიდირებული.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ხობის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

# პარტიას „ქართული ოცნება“ პოლიტსაბჭო უხელმძღვანელებს

პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პოლიტსაბჭო უხელმძღვანელებს. როგორც პარტიის მოქმედმა თავმჯდომარემ, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, მანანა კობახიძემ განაცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება პოლიტსაბჭოს სხდომაზე მიიღეს, რომელიც „ქართუ ჯგუფის“ ოფისში გაიმართა.

მისივე ინფორმაციით, პარტიას თავმჯდომარე არ ეყოლება, თუმცა საპატიო თავმჯდომარის პოსტს ბიძინა ივანიშვილი და იკავებს.

პოლიტსაბჭოს შემადგენლობა გაიზრდება და მას დელეგატები 16 თებერვალს, 15:00 საათზე დაგეგმილ ყრილობაზე აირჩევენ.

„ყრილობამ უნდა დაუჭიროს მხარი პოლიტსაბჭოს ახალ შემადგენლობას, ისევე, როგორც სარევიზიო კომისიას. საპატიო თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილს განვიხილავთ. პარტიას ცალკე თავმჯდომარე არ ეყოლება და მის ფუნქციებს პოლიტსაბჭო განახორციელებს. პოლიტსაბჭო აირჩევს პოლიტსაბჭოს მდივანსაც. კანდიდატურებზე წინასწარ ვერ ვისაუბრებ, რადგან ეს ყრილობის გადასაწყვეტია“,- აღნიშნა მანანა კობახიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის ინფორმაციით კი, ყრილობაზე სხვა ბევრი ორგანიზაციული საკითხიც გადაწყდება.

როგორც დავით საგანელიძემ აღნიშნა, დელეგატები 73 რაიონიდან ჩამოვლენ. ყრილობას მოწვეული სტუმრებიც დაესწრებიან. „ჩვენ მათ წარვუდგენთ ახალ წესდებას. პარტიული სტრუქტურა იქნება განსხვავებული დიამეტრულად და პარტიას ეყოლება კოლექტიური მმართველი ორგანო“, - განაცხადა დავით საგანელიძემ.

# ირაკლი ღარიბაშვილი—„საქართველოში ხელშეუხებელთა კასტა ვერ იარსებებს“

შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან სამართალდამცავების საქმიანობაზე ინფორმაცია მიაწოდა.
მისი თქმით, 8 თებერვალი არ არის ლოკალური ხასიათის მოვლენა და ის იმ არაჯანსაღი გარემოს ლოგიკური შედეგია, რომელშიც უწევს მუშაობა საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებს.

„სახელმწიფო დასაზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემა ერთიან ორგანიზმს უნდა წარმოადგენდეს. თუ რაიმეს მნიშვნელოვნად აზიანებს საარჩევნო ბატალიებიდან ინერციით გამოყოლილი კონფრონტაციული რეჟიმი და სეპარაცია, ეს სწორედ უსაფრთხოების სფერაა. ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, სამართალდამცავი და უსაფრთხოების სტრუქტურების დეპოლიტიზაციისა და კოჰაბიტაციის აუცილებლობაზე. 8 თებერვლის მოვლენებმა დაგვანახა, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ უმნიშვნელოვანესი პრინციპის დარღვევას“, - განაცხადა ღარიბაშვილმა. მისივე ინფორმაციით, პრეზიდენტისა და მაღალი თანამდებობის პირების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური (სდსს), რომელიც 1998 წელს აშშ-ის უდიდესი მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური ინვესტიციის შედეგად ჩამოყალიბდა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, სდსს დღემდე საქართველოს პრეზიდენტის იურისდიქციის ქვეშ მყოფ სამთავრობო სტრუქტურას წარმოადგენდა და წლების განმავლობაში უშუალოდ ოპერატიულად ხელმძღვანელობდა უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის პრეზიდენტის მონაწილეობით მიმდინარე ღონისძიებებს.

„შსს-ს ასეთ ღონისძიებებზე ყოველთვის დამხმარე როლი ჰქონდა განსაზღვრული და იგი მკაცრად ასრულებდა დასაცავ პირთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სამსახურის დაკვეთას. სდსს უსაზღვრავდა შსს-ს იმ ძალებს და საშუალებებს, რაც საკმარისი უნდა ყოფილიყო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სამწუხაროდ, გასული წლის ოქტომბრიდან სდსს-მ პრაქტიკულად გაწყვიტა ინტენსიური ოპერატიული კავშირი ჩვენთან, რაც საფრთხის შემცველია. არსებული პრაქტიკის თანახმად, წინასწარ ხორციელდება დაცვითი ღონისძიებები სდსს-ს მიერ და არა შსს-ს მიერ. სდსს-მ ერთი დღით ადრე იცოდა, რომ 8-ში პრეზიდენტი ეროვნულ ბიბლიოთეკაში მისვლას აპირებდა. ამის მიუხედავად, არ გაატარა ასეთი შემთხვევებისთვის აუცილებელი ღონისძიებები. კერძოდ, სდსს-ს ერთობლივი დაცვისთვის საჭირო ერთჯერადი გეგმა უნდა შეემუშავებინა, ასევე არ გასულა ობიექტზე ერთობლივი ჯგუფი, რომლის დროსაც უნდა განსაზღვრულიყო პოლიციის მოქმედების არეალი, შსს-ს მიერ გამოსაყენებელი ძალების და საშუალებების ოდენობა და დამცავი ჯებირების გამოთხოვა ქალაქის მერიიდან. სდსს-მ 15:00 საათისთვის მოითხოვა საპატრულო პოლიციის ერთი ეკიპაჟის და რაიონული პოლიციის ადგილზე გამოცხადება. ადგილზე პოლიციამ იმოქმედა სიტუაციური რეაგირების რეჟიმში. გვქონდა ინფორმაცია, რომ იგეგმებოდა ეს ღონისძიება და ჩემი ბრძანებით, ერთი ეკიპაჟის ნაცვლად მობილიზებული იყო 55 ეკიპაჟი, ასევე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის და ქალაქის მთავარი სამმართველოს დაახლოებით 200 პოლიციელი“, - განაცხადა ღარიბაშვილმა და თითოეულ პოლიციელს „ღირსეულად გაწეული სამსახურისთვის“ მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, სამართალდამცავებმა წარმატებით გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას.

„სდსს-ს უმოქმედობამ გამოიწვია დაცვითი ღონისძიებების უსაფრთხოების ერთიანი სისტემის რღვევა. სდსს-ს მიერ პერიმეტრი არ იყო დაცული და არ იყო სპეციალური ჯებირები, რის გამოც პოლიციას მოუწია ცოცხალი კედლით უსაფრთხო დერეფნის მოწყობა და პრაქტიკულად ჩავანაცვლეთ აღნიშნული სამსახური“, - განაცხადა მინისტრმა და დიპლომატიურ კორპუსს იმ სათადარიგო შესასვლელების გრაფიკული გამოსახულება წარუდგინა, რომელიც მისი თქმით ეროვნულ ბიბლიოთეკასთან არსებობდა.

ღარიბაშვილის ინფორმაციითვე, პრეზიდენტის გამოსვლის გადადებაზე პრესსპიკერის განცხადების შემდეგ შსს-მ დაუყოვნებლივ უზრუნველყო ავლაბრის რეზიდენციასთან მისასვლელი გზების უსაფრთხოება. „არსებობს ლეგიტიმური ეჭვი, რომ ბიბლიოთეკასთან ვითარების დაძაბვა ხელოვნურად იყო გამოწვეული. ასევე ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ პოლიციის მიერ შეთავაზებული უსაფრთხო დერეფნების მიუხედავად, თბილისის მერმა, საპარლამენტო უმცირესობამ და მათმა თანმხლებმა პირებმა დერეფნის გამოყენებაზე უარი განაცხადეს და გამიზნულად გაემართნენ აქციის აღელვებული მონაწილეებისკენ, რომელთა უმეტესობა იყო 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისის აქციების დარბევისას დაზარალებულები, ყოფილი პოლიტპატიმრები და მათი ახლობლები“, - განაცხადა მინისტრმა და დიპლომატიურ კორპუსს დაპირისპირების ამსახველი 10-წუთიანი ვიდეომასალა წარუდგინა.

მისივე განმარტებით, ჯებირების არსებობის შემთხვევაში, მომხდარის თავიდან აცილება შეიძლებოდა. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს არის მარტივი ღონისძიება, რომლის განხორციელება შსს-საც შეეძლო, თუმცა ეს მის პრეროგატივას არ წარმოადგენდა.

„მომხდარზე დავიწყეთ გამოძიება. იმავე ღამეს დაკითხული და დაკავებული იყვნენ დეპუტატების ფიზიკურ შეურაცხყოფაში ბრალდებული პირები. მომხდარი ძალიან სამწუხარო ფაქტია. ამ საქმეზე დავაკავეთ ოთხი პირი, ორი ადმინისტრაციულ, ორი სისხლის სამართლის საქმეზე, დაკითხულია 43 მოქალაქე. გამოძიების ფარგლებში ჩვენება უნდა მიეცათ თბილისის მერს და საპარლამენტო უმცირესობას და მათ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. ის რეჟიმი, რასაც მერი და საპარლამენტო ოპოზიცია გვთავაზობენ და დემონსტრაციულად უარს აცხადებენ გამოცხადებაზე, არის პირდაპირი დარტყმა საგამოძიებო ორგანოებზე. პატივი სცენ კანონის უზენაესობას, დაივიწყონ თანამდებობრივი ამბიციები და კანონის შესაბამისად ითანამშრომლონ. არ დავუშვებთ, ქვეყანაში ჩამოყალიბდეს პრივილეგირებულთა კასტა. მათი ლოგიკით, მწვრონელები დარბაზში უნდა დავკითხოთ, პედაგოგები - სკოლებში. საქართველოში ხელშეუხებელთა კასტა ვერ იარსებებს. ასეთი სახელმწიფოს მშენებლობა გვსურს ჩვენ“, - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## დაიჯესტი

# მაია ფანჯიკიძე_„ვფიქრობ, კონსტიტუციაში შეიძლება იყოს დაფიქსირებული საქართველოს პროევროპული არჩევანი

საქართველოს პროევროპული არჩევანი არის ქართველი ხალხის არჩევანი, - ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა, მაია ფანჯიკიძემ ლატვიის სეიმის დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ , ჟურნალისტების კითხვის - კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო კურსის დაფიქსირების თაობაზე, საპასუხოდ განაცხადა.

„მე არ ვარ საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი და ჩემს უფლებამოსილებებს აღემატება ვთქვა, თუ რა შეიძლება იდოს კონსტიტუციაში და რა არა - მაგრამ ქართველი ხალხის არჩევანი, რომელიც არის ევროპული გზა და რომელშიც ეჭვი არავის არ ეპარება, ჩემი აზრით შეიძლება იყოს დაფიქსირებული კონსტიტუციაში, თუმცა კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ მე ამის სპეციალისტი არ ვარ და ჩემს თავზე იმაზე მეტს ვერ ავიღებ რაც შემიძლია“, - განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

საგარეო საქმეთა მინისტრი ასევე გამოეხმაურა უმრავლესობის მიერ შეთავაზებულ 14 პუნქტიან ინტერფრაქციულ დოკუმენტს და როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, ეს არის ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ბევრ საკითხს მოიცავს და ის მჯელობას იმსახურებს.

„მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბდება ეს დოკუმენტი. ეს არის პირველი შეთავაზება. მასზე მსჯელობა შეიძლება, თუ რა დარჩება ამ დოკუმენტში და რა არა. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალიან კარგი საფუძველი, ძალიან კარგი სამუშაო დოკუმენტი, რომელზედაც შეიძლება უფრო ფართო მსჯელობა გაიმართოს“, - განაცხადა ფანჯიკიძემ.

კითხვაზე, მიიღებს თუ არა ამ შეთავაზებას „ნაციონალური მოძრაობა“ - ფანჯიკიძე ფიქრობს, რომ ეს 14 პუნქტი აბსოლუტურად ყველაფერს მოიცავს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის.

„მე ვფიქრობ, თუკი კოჰაბიტაციის სურვილი გააჩნია „ნაციონალურ მოძრაობას“ ნებისმიერ დოკუმენტზე მუშაობა და მსჯელობა შეიძლება. ეს არის სწორედ ის პოლიტიკური კულტურა, რომელიც ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ჩვენს ქვეყანაში. იმედი მაქვს, რომ ამ დოკუმენტზე მუშაობა ნამდვილად მოხდება“, - დასძინა მაია ფანჯიკიძემ.

# დავით უსუფაშვილი —„პოლიტიკური პროცესები პარლამენტში უნდა გადავიტანოთ“

8 თებერვალს, ეროვნული ბიბლიოთეკის წინ შეკრებული ადამიანების მისამართით პრეზიდენტის მხრიდან გამოთქმულ ეპითეტს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი არ იზიარებს და აცხადებს, რომ მას იქ კრიმინალთა ბრბო არ დაუნახავს.

პრეზიდენტთან მოლაპარაკებების შემდეგ უსუფაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მან ხელი პარლამენტში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანების გათავისუფლებას მოაწერა, ხოლო ის, რაზეც შეთანხმდნენ ისაა, რომ მსგავს ინციდენტს ქვეყანაში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს.

„ჩვენ არ გვისაუბრია იმაზე, რაზეც პრეზიდენტმა დასაწყისში ისაუბრა –ჩვენ ამაზე არ ვთანხმდებით და ვერ შევთანხმდებით. იმ აქტით, რომელსაც ხელი მოვაწერე, თავისუფლება მიიღეს სწორედ პოლიტიკურმა პატიმრებმა და დევნილებმა. საჯარო ბიბლიოთეკასთან კრიმინალთა ბრბო არ დამინახავს. იქ იყო შეკრებული ხალხი, რომელიც პროტესტს გამოხატავდა და ამ დროს ადგილი ჰქონდა კანონდარღვევას. ჩვენ განვაცხადეთ, რომ ყველა კანონდამრღვევი უნდა დაისაჯოს. რაზეც ვთანხმდებით არის ის, რომ მსგავსი მოვლენები ქვეყანას არ წაადგება, ვისი მიზეზითაც არ უნდა იყოს ის დაგეგმილი, პროვოცირებული, თუ ბოლომდე ყურადღება ვერმიქცეული. ამიტომ სწორია პოლიტიკური პროცესის სწორედ პარლამენტში გადატანა“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

# ხელისუფლების 100 დღე

*ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის რანგში მედიასთან რიგით მე-3 მასშტაბური შეხვედრა გამართა. პრემიერმა საუბარი მთავრობის 100-დღიანი საქმიანობის შეჯამებით დაიწყო და სამომავლო გეგმებსაც შეეხო.*

# biZina ivaniSvilis mesame gamosvla

ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის რანგში მედიასთან რიგით მე-3 მასშტაბური შეხვედრა გამართა. პრემიერმა საუბარი მთავრობის 100-დღიანი საქმიანობის შეჯამებით დაიწყო და სამომავლო გეგმებსაც შეეხო.

მისი თქმით, 1 თებერვლიდან 1 აგვისტომდე მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი განხორციელდება, რომელსაც სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დააფინანსებს. როგორც ივანიშვილი ამბობს, ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სფეროში 700 მილიონამდე ლარის დახარჯვაა დაგეგმილი. პრემიერის თქმით, უფასო ხვნა-თესვისთვის გლეხებს 640-დან 700-ლარამდე ღირებულების ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათები გადაეცემათ. პრემიერი შენიშნავს, რომ წინა ხელისუფლება მოსახლეობას ვაუჩერებით ბევრად ნაკლებ თანხას აძლევდა.

ივანიშვილმა მთავრობის წარმატებებზე საუბრისას ფარმაცევტული პროდუქციის 30-დან 70 პროცენტამდე კლების ტენდენციაზე გაამახვილა ყურადღებას. გარდა ამისა, პრემიერმა აღნიშნა, რომ თებერვლიდან ბუნებრივი აირის ტარიფი 10 პროცენტით შემცირდება.

ამასთან, ბიძინა ივანიშვილის თქმით, საქართველოში იქმნება ახალი სუვერენული ფონდი, რომელსაც ჰოლდინგის ფუნქცია ექნება, ის თავს მოუყრის სახელმწიფო აქტივებს და განახორციელებს სტრატეგიულ პროექტებს. მას ახალგაზრდული (ინოვაციური) პროექტების მხარდაჭერის და სხვა მომავალი ფონდების

მართვის ფუნქციებიც დაეკისრება. „ადრე მოგახსენეთ სამი ფონდის შესახებ. საქართველოს სუვერენული ფონდის დაფუძნება უკვე დაწყებულია. ამ პროცესში ჩვენი პარტნიორია „ჯიპი მორგანი“, მე მას დავოსში შევხვდი და პირობებზე მოვილაპარაკეთ. ეს დამატებით სტიმულს მისცემს ბიზნესმენებს და საპარტნიორო ფონდის ბაზაზე კეთდება. მეორე პატარა ფონდი საქართველოს ახალგაზრდული ფონდი იქნება, სადაც ახალგაზრდა მეცნიერებს და ბიზნესმენებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი ინოვაციური პროექტები განახორციელონ და დანერგონ ჩვენს ქვეყანაში. მესამე ფონდი არის კერძო საინვესტიციო ფონდი–ეს იყო ჩემი ძველი იდეა, ახლა აღვადგინეთ და ამასაც ვაფუძნებთ. ყველა უცხოელს და საქართველოს მოქალაქეს, ვისაც სურვილი და გამართული პროექტი ექნება, მათთვის ეს ფონდი გამზადებული პარტნიორი გახდება. საინტერესო პროექტის შემთხვევაში ფონდი 2-დან 75 პროცენტამდე თანადაფინანსებას გაწევს. თითოეული ფონდის ბიუჯეტი 2-2 მილიარდი ლარი იქნება,“ –ამბობს პრემიერი. ივანიშვილი პროექტებში პირადი კაპიტალით თანამონაწილეობას არ გამორიცხავს, თუმცა აზუსტებს, რომ თანხას დამოუკიდებელი საბჭო განკარგავს.

პრემიერ-მინისტრმა საქართველოში ინვესტიციების მოზიდვისთვის საჭირო ნაბიჯებზეც ისაუბრა. მისი თქმით, რთულია, გაიგო, რა არის საქართველოს საინვესტიციო ხიბლი და თუ ამ საკითხს მთავრობამ თავი გაართვა, ის სამი ფონდი, რომელთა დაფუძნებაც იგეგმება, ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას. ბიძინა ივანიშვილი აღნიშნავს, რომ ინვესტორს საქართველოში, ძირითადად, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა იზიდავს, რაც საკმარისი არ არის. თუმცა, პრემიერის თქმით, საინვესტიციო არეალის გაფართოება გაცილებით რთულია.

„მთავრობა მაღალი ტექნოლოგიების დანერგვას ხელოვნურად ხელს შეუწყობს, მაგრამ ეკონომიკაში მთავარია, პრიორიტეტები ბაზარმა თვითონ განსაზღვროს. ტურიზმი და სატრანზიტო პოტენციალი გასაგებია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის,“ - ამბობს ივანიშვილი. პრემიერის თქმით, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებმა ბიზნესმენების გამოკითხვა ჩაატარეს - რომელი სხვა ბიზნესი ესახებათ პერსპექტიულად. ივანიშვილის ინფორმაციით, მთავრობას ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.

„ვიკვლევთ, იქნებ საქართველოში საინტერესო სფეროები აღმოვაჩინოთ. იდეაში მაქვს, რომ შეიძლება, რაღაც მოხდეს მრეწველობაში,“–ამბობს ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრი დავოსში გამართული შედეგების შესახებაც საუბრობს.

“ნაადრევია იმის თქმა, რომ რომელიმე კომპანია საქართველოში უახლოეს ხანში შემოვა. ინვესტიციების შემოსვლას დრო სჭირდება. დამოკიდებულება, რომელიც ქვეყანაში არსებობდა, ისეთ ფონს ქმნიდა, რომ საქართველოსკენ არავინ იყურებოდა. ვინც შემოსული იყო, ისიც გასვლას გეგმავდა. მხოლოდ გაუგებარი ფულით შეიძლებოდა ინვესტორები შემოსულიყვნენ. წინასწარ მთავრობას მოელაპარაკებოდნენ და სახელმწიფოსა და ხალხის ქონების გაყოფას ცდილობდნენ. ინვესტიციები არ ხორციელდება ისეთ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების ტოტალური მართვა ხდება,“–ამბობს ივანიშვილი.

პრემიერის მტკიცებით, ბოლო დროს საქართველოში შეცვლილი ვითარების შესახებ ინფორმირებულნი არიან როგორც უცხოელი ბიზნესმენები, ასევე პოლიტიკოსები. „ვერც ერთი კაცი ვერ ვნახე, რომ საკაშვილს მისტიროდეს. წინა ხელისუფლებასთან ფორმალური ვალები აქვთ და რაღაც განცხადებებს აკეთებენ. ყველამ გააცნობიერა, რომ საქართველოში რეალური დემოკრატია მოვიდა,“– აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ დავოსში რუსულ საუზმეზე მიწვეულმა რუსი ინვესტორების მხრიდან ქართული ბაზრით დაინტერესება იგრძნო. ივანიშვილის თქმით, საქართველოში ინვესტიციის ჩადება სურთ არა მხოლოდ რუს ბიზნესმენებს, არამედ საზღვარგარეთ, ძირითადად, რუსეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებსაც.

## რუსეთის ბაზარი და რკინიგზა

პრემიერი რუსულ ბაზარზეც ამყარებს იმედებს. მისი თქმით, ქართული პროდუქციის დაბრუნების პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, აუცილებელია ქართულ პროდუქციაზე კონტროლის დაწესება და ხარისხის შენარჩუნება. “რამდენიმე კვირაში რუსეთიდან ჩამოვა კომისია და მოხდება ქართული პროდუქციის შემოწმება. თუ აქვე შევჯერდებით, ეს პროცესს გაამარტივებს. აუცილებელია ქართულ პროდუქციაზე კონტროლის დაწესება, ჩვენ აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ ღვინის ხარისხი. რუსული ბაზარი ძალიან გაჯერებულია, თუმცა ჩვენ უნდა მოვახერხოთ, რომ ახლებურად გადავლაგდეთ რუსულ ბაზარზე,“–ამბობს ივანიშვილი.

პრემიერის თქმით, „რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის გარეშეც დაიწყო. კარგი შეხვედრა იყო და დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გაგრძელდება,“–აღნიშნავს ივანიშვილი. თუმცა პრემიერი მიიჩნევს, რომ თუ ყველაფერი სწორად გაკეთდა, აფხაზეთის გავლით რკინიგზის აღდგენა, რა თქმა უნდა, პოზიტიური ნაბიჯი იქნება. „მის აღდგენას პოლიტიკური შეთანხმება და სამართლებრივი გამართვა სჭირდება, რაც, საბოლოო ჯამში, ყველასთვის სასარგებლო იქნება. მაგრამ, ეს პროცესები მარტივი არ არის და 5 წუთში ვერ გადაწყდება,“–შენიშნავს ივანიშვილი.

## საკონსტიტუციო ცვლილებები

პრესკონფერენციაზე არაერთი კითხვა დაისვა დაგეგმილი საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ. პრემიერის თქმით, საკონსტიტუციო ცვლილებები გაგრძელდება. ის ამბობს, რომ მომავალი ცვლილებების შესახებ საკუთარი პოზიცია აქვს, რაც გუნდში ჯერ არ განუხილავს. „კონსტიტუცია საშინელ დღეშია. მე ვარ საფრანგეთის მოქალაქე და მაქვს უფლება, ვიყო პრემიერ-მინისტრი. საკმარისია, მივიღო საქართველოს მოქალაქეობა და ამ უფლებას დავკარგავ. შესაბამისად, ბევრი ცვლილება განხორციელდება,“–აღნიშნავს პრემიერი.

რაც შეეხება უკვე ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტზე (პროექტით პრეზიდენტს პარლამენტის თანხმობის გარეშე მთავრობის დანიშვნის უფლება ერთმევა) „ნაციონალური მოძრაობის“ საპასუხო შეთავაზებას, რომელიც კონსტიტუციაში საგარეო ორიენტაციის უცვლელობის საკითხის შეტანას გულისხმობს, ამას ივანიშვილი უნიჭოს უწოდებს. პრემიერ-მინისტრს მიაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები სხვა რეალობაში იმყოფებიან და დავით საგანელიძის განცხადების ფასი ვერ გაიგეს. ივანიშვილი მისთვის სასურველი საკონსტიტუციო ცვლილების მხარდაჭერის სანაცვლოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივის მხარდაჭერას არ აპირებს. „ჩვენ, როგორც უმრავლესობა, მათგან არანაირ დახმარებას არ ვსაჭიროებთ. ხმების მოგროვებას არ ვაპირებთ. ისინი ცვლილებებს მხარს დაუჭერენ თუ არა, მნიშვნელოვანი არ არის. პრაქტიკულად, ქვეყნისთვის არაფერს ცვლის. მათ, უბრალოდ, აქვთ საშუალება, საკუთარ მომავალს პერსპექტივა მისცენ. ისინი ქვების სროლით შემოვიდნენ და ეს დიქტატორული კანონი დააფუძნეს და დიქტატორული უფლებები მიანიჭეს პრეზიდენტს, რომლითაც 9 წლის განმავლობაში სარგებლობდნენ. მას ჰყავდა მართული პარლამენტი. არ არსებობს ქვეყანა, სადაც შეიძლება, პრეზიდენტს ასეთი უფლებები ჰქონდეს. ამით ცხოვრობდნენ და დღეს ბაქრაძე

>>>>>>>>>>> 5

# კადრები

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დაინიშნენ:

**ფერიდე გოგბია**–კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

დაიბადა 1961 წლის 1 იანვარს ქ.ხობში.

2013 წლის 21 იანვრიდან–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი; 2002 – 2013 წ.წ.–კომერციული საქმიანობა; 1998-2002 წ.წ–მუშაობდა გურიფულისა და ქ. ხობის N1 საშუალო სკოლის რელიგიისა და კულტურის მასწავლებელი; 1997-1998 წ.წ.–ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი; 1987-1997 წ.წ.–ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მომსახურების განყოფილების გამგე; 1987 წელს შევიდა ყაზანის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტში; 1993 წელს დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი; 1981–1986 წ.წ.–ხობის რაიონის სოფელ მეორე გურიფულის სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი. ფლობს რუსულ ენას.

დაოჯახებული.

**ავთანდილ სართანია**–ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

დაიბადა 1958 წლის 3 ივნისს ხობის რაიონის სოფელ ხეთაში.

2013 წლის იანვრიდან ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

1990-2012 წ.წ.–სამეწარმეო საქმიანობა;

1986-1990 წ.წ.–ხობის რაისაბჭოს აღმასკომის მშენებლობის განყოფილების გამგე;

1981-1986 წ.წ.–ხობის რაიკოპერატივის თავმჯდომარის მოადგილე მშენებლობის დარგში;

1976-1981 წ.წ. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.( კვალიფიკაცია ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ინჟინერი).

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

**გაიოზ ძირია**–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი.

დაიბადა 1974 წლის 8 მაისს ხობის რაიონის სოფელ ხამისქურში.

2013 წლის 7 თებერვლიდან - ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი; 2013 წლის იანვარი–ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე; 2005-2008 წ.წ.–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; 2002-2005 წ.წ.–სოფელ ხამისქურის საკრებულოს წევრი; 1997- 2002 წ.წ.–ინვალიდების საქმეთა დეპარტამენტის ხობის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილე; 199-1997 წ.წ.–სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის სოცმუშაკი; 1995-1996 წ.წ.–შ.პ.ს „ნავი“-ს იურისტკონსული. 2004 წელს დაამთავრა-საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სპეციალობა აგროტექნიკოსი.

ფლობს რუსულ ენას. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**იმედი ქანდარია**–სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.



დაიბადა 1959 წლის 1 იანვარს ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში.

2013 წლის 28 იანვრიდან–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი; 2004-2006 წ.წ.–საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხობის სარეგისტრაციო სამსახურის უფროსი; 1997-2004 წ.წ.–საქართველოს მიწის მართვის დეპარტამენტის ხობის სამმართველოს უფროსი; 1996-1997 წ.წ.–საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ხობის ბიუროს უფროსი; 1993 – 1996 წ.წ.–საქართველოს მოქალაქეთა კავშირის ხობის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე; 1989-1993 წ.წ. –ხობის №1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი; 1984-1989 წ.წ. –საქართველოს კომკავშირის ხობის რაიკომის პირველი მდივანი; 1981-1984 წ.წ.–მეურნეობა „კოლხეთი“-ს ბრიგადირი.

1976-1981 წ.წ.–საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტი, სპეციალობით აგრონომ მელიორატორი

ფლობს რუსულ ენას. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

# „დარიგდება ბარათები, რომელთა მეშვეობითაც ხვნის სერვისისა და სასუქების შეძენა იქნება შესაძლებელი"

***სოფლის მეურნეობის სამინისტრო „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის" განხორციელებას იწყებს. პროექტის ფარგლებში დარიგდება ბარათები (ვაუჩერები), რომლის მეშვეობითაც ხვნის სერვისისა და სასუქების შეძენა იქნება შესაძლებელი. ვინ მიიღებს ამ ბარათს და ვინ არიან მცირემიწიანი ფერმერები? ამ საკითხზე „ქრონიკას" სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე შალვა ფიფია ესაუბრა:***

***სოფლის მეურნეობის სამინისტრო გეგმავს სასოფლო-სამეურნეო ბარათების (ვაუჩერების) დარიგებას. რა ეტაპზეა ამ დროისთვის ეს პროცესი?***

–ერთ-ერთი დიდი პრობლემა არის მიწათმფლობელთა სრულყოფილი აღრიცხვისა და საკუთრების უფლების არარსებობა. საჯარო რეესტრში მხოლოდ 20-25%-ს აქვს რეგისტრირებული ნაკვეთი მასზე საკუთრების უფლებით. საგაზაფხულო დახმარების გაწევისთვის აუცილებელი გახდა აღრიცხვის კარდაკარ პრინციპით ჩატარება, რის შემდეგაც მონაცემები სპეციალურად შექმნილ ბაზაში განთავსდა. რაც შეეხება საჯარო რეესტრთან თანამშრომლობას, გადავამოწმეთ ინფორმაცია პირადი ნომრების მიხედვით. საერთო ჯამში, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი დაეხმარება 640,667 ოჯახს.

***რა პრინციპით შეირჩა ოჯახები და როდის მიიღებენ ვაუჩერებს? ყველა თანაბარ პირობებში იქნება, თუ ვისაც დიდი მიწის ნაკვეთი აქვს, ის მეტს მიიღებს ?***

–თებერვალში სამუშაოები დაიწყება და, შესაბამისად, დარიგდება სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რომელიც სხვადასხვა ტიპის იქნება. საკმაოდ დიდი რაოდენობა იმ ადამიანებიდან, ვინც ჩვენს ბაზაშია, დახმარებას მიიღებს. სხვადასხვა ტიპის ბარათები იქნება. უდიდესი ნაწილი 0.25-დან 1.25 ჰექტარამდე ფართობს ფლობს. შედარებით მცირე ჯგუფი, რომელიც 0,25 ჰექტარზე ნაკლებს ფლობს, არის დაახლოებით 150,000 მესაკუთრე და კიდევ უფრო მცირე, რომელიც ფლობს 1,25-დან 5 ჰექტარამდე.

ყველა ამ ჯგუფს გაეწევა დახმარება. 0.25 ჰექტარამდე მესაკუთრეებზე გაიცემა უნიფიცირებული, ნომინალური ღირებულების ბარათი, რომლითაც შეძლებენ, წავიდნენ სასოფლო-სამეურნეო მაღაზიებში და შეისყიდონ სოფლის მეურნეობისთვის საჭირო ნედლეული და ინვენტარი, რაც სჭირდებათ. ყველაზე მეტია 0.25–ჰ ა-დან 1.25–ჰა-მდე მიწის მესაკუთრე, რომლებიც მიიღებენ კომბინირებულ ბარათს. კერძოდ, ხვნის, ხნულის დადისკვისა და ასევე, ნედლეულის შესაძენად. 1.25 ჰა-ს ზევით 5 ჰა-მდე მიწის მესაკუთრენი მიიღებენ 1.25 ჰა-ს ეკვივალენტური ღირებულების უნიფიცირებული ტიპის ბარათს, ასევე, მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ინვენტარის შესაძენად. ანუ იქნება სამი ტიპის ბარათი.

***უნიფიცირებული ნომინალური ღირებულების, კომბინირებული და უნიფიცირებული ტიპის? და რამდენი ლარის ეკვივალენტია? მინისტრმა განაცხადა, რომ 300 ლარის ღირებულების ვაუჩერები დარიგდებოდა.***

–იქნება კომბინირებული და უნიფიცირებული ბარათები, სხვადასხვა ღირებულების. უნიფიცირებული ბარათით შესაძლებელი იქნება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და საქონლის (სხვადასხვა ინვენტარი, სასუქი, მცენარეთა დაცვის საშუალებები) შეძენა სპეციალიზებულ სასოფლო-სამეუნეო მაღაზიებში, ხოლო კომბინირებულ ბარათს მიებმება როგორც ხვნის, ასევე ხნულის დადისკვისა და ინვენტარისა და საქონლის შესყიდვის საშუალება.

***რომ დავაზუსტოთ, ბარათების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და ინვენტარის შესაძენად და მისი მფლობელი მას ვერ გაანაღდებს?***

–დიახ, ასეა. პროექტის მიზანია, რომ მოხდეს მაქსიმალური ოდენობით მიწის დამუშავება და არა ადამიანებისთვის თანხის დარიგება.

***ეს პროგრამა ერთჯერადი ხასიათისაა?***

–აღნიშნული პროგრამის დასრულების შემდეგაც გაგრძელდება მცირე ფერმერების ხელშეწყობა. იქნება კომპლექსური მიდგომა. ფონდის ფარგლებში განხორციელდება არაერთი პროექტი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის. ფონდი უკვე დაარსებულია და აღნიშნული ხვნის პროგრამაც მის ფარგლებში ხორციელდება. საზოგადოება მალე მიიღებს სრულყოფილ ინფორმაციას შეღავათიანი დაკრედიტების შესახებაც. ბიოფერმერებს, სხვა ფერმერების მსგავსად, ექნებათ შეღავათიანი სესხის მიღების შესაძლებლობა.

***სამინისტრომ ასევე განაცხადა, რომ იწყებს ტრაქტორისტების გადამზადების პროგრამას. რამდენ ტრაქტორისტს გადამზადებთ და მათ რა პრინციპით შეარჩევთ?***

–ტექნიკისა და მექანიზატორების პრობლემა იდგა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით 2013 წლის თებერვლიდან აპრილის ჩათვლით მექანიზატორებისთვის გადამზადების კურსები კაჭრეთის, ახალციხის, ამბროლაურის, ქობულეთის, ოზურგეთის, სენაკის, გორისა და დიდი ჯიხაიშის პროფესიულ სასწავლებლებში ჩატარდება. უკვე დასრულებულია იმ ტრენინერთა გადამზადება, რომლებიც აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 900-მდე ტრაქტორისტ-მემანქანეს 35-დღიან გადამზადების კურსს ჩაუტარებენ. გადამზადების პროგრამა ხელს უწყობს არა მარტო 900-მდე სამუშაო ადგილის შექმნას, არამედ სოფლის მეურნეობის განვითარებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, კიდევ უფრო მეტი მიწის დამუშავებასა და ადგილობრივი პროდუქციის ზრდას.

***თუ სახელმწიფო ასეთ ზრუნვას იწყებს–გადამზადებას, ბარათების დარიგებას, რომ შექმნას სპეციალური ჯგუფები, რომლებიც დაამუშავებენ ამ მიწის ნაკვეთებს, უფრო ნაკლები ხარჯი არ ექნება? თან რაღაც კოლექტივის იდეას ჰგავს.***

–ჩვენი მიზანი არ არის, რომ სახელმწიფომ თვითონ დაუმუშაოს ამ ადამიანებს მიწის ფართობები. ჩვენი მიზანია, ეს მოხერხდეს კომერციული სტრუქტურების საშუალებით. 1 ჰა სახელმწიფოს დაუჯდება დაახლოებით 500 ლარი. შექმნილია ახალი ფონდი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება რამდენიმე პროექტი და ეს პროექტი, მათ შორის ერთ-ერთი. ამას გარდა, კიდევ არის შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, რომლის შესახებაც უახლოეს დღეებში გაცხადდება. სახელმწიფო დაინტერესებულ მხარეებთან და არასამთავრობო სექტორთან მუშაობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კანონპროექტზე. ჩვენს ძირითად პრობლემას წარმოადგენს მიწების ფრაგმენტაცია. ეს არ არის ერთ წელიწადში გადასაწყვეტი პრობლემები, თუმცა ეს საქმე უნდა დაიწყოს და ფერმერებმა უნდა ნახონ, რამდენად დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია სასოფლო სამეურნეო კოოპერაციებს, მიწის ერთიანად დამუშავებას. კოოპერაციის წახალისებისათვის ჩვენ გვექნება სხვადასხვა პროექტი, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გადაცემის საკითხი და შემდეგ ის შეძლებს საკუთარი ტექნიკით მიწის დამუშავებას და თუ სხვასაც დაეხმარება, დამატებით შემოსავალსაც მიიღებს.

***მიწის მესაკუთრეებმა, ჩვეულებრივმა გლეხებმა, შესაძლოა, არც იციან ამა თუ იმ პესტიციდის ზუსტი გამოყენება. სოფლებში არ არიან შესაბამისი კადრები, ვინც მათ დახმარებას აღმოუჩენენ, როგორ გამოიყენონ ესა თუ ის ნედლეული, ან პესტიციდი. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი თუ არის გათვლისწინებული?***

–სოფლის მეურნეობის სამინისტრო მთელი საქართველოს მასშტაბით–54 მუნიციპალიტეტში რაიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებს ქმნის. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რაიონული სამსახურების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით თანამშრომელთა შერჩევის ტესტირება დაიწყო. ახალ სამსახურში 250 სპეციალისტი დასაქმდება. ეს პროცესი დასრულდება მარტის დასაწყისში. ყველა რაიონში საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ფორმირებით, გლეხებსა და ფერმერებს საშუალება მიეცემათ, ადგილზე მიიღონ კვალიფიციური, უფასო კონსულტაცია. ასევე, რაიონული საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები, გლეხებისა და ფერმერების საქმიანობისა და საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს კონკრეტული რაიონისათვის სასოფლო-სამეურნეო პრიორიტეტის მიხედვით. თითოეული მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში არანაკლებ 4–5 ადამიანი დასაქმდება.




***თემურ ჯუმბურიძე,***
***გაზეთი „კვირის ქრონიკა".***

## ხელისუფლების 100 დღე

3

ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებს, კიდევ რაღაც პირობებს ითხოვენ. მათთვის განმარტებების გაკეთებას არ ვაპირებ, ესენი ქვეყანას ვერაფერს დააკლებენ,"–ამბობს ივანიშვილი.

### ალასანია და ოპონენტებთან ურთიერთობა

შეუთანხმებლობის მიუხედავად, ივანიშვილი ამბობს, რომ უმრავლესობა ოპონენტებს ისეთებს იღებს, როგორებიც არიან. „ჩვენი რეალობა ასეთია, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედი. ძალიან კარგი იქნება, თუ „ნაციონალური მოძრაობა" კონსტრუქციულ ოპონირებას მოახერხებს,"– იმედოვნებს ივანიშვილი. პრემიერის თქმით, ვიდრე ქვეყანაში ასეთი ოპოზიცია არსებობს, კოალიცია ერთიანობას შეინარჩუნებს.

ივანიშვილი ამბობს, საპარლამენტო არჩევნებზე ალასანია სამეგრელოს 7 რაიონს კურირებდა და ამ რეგიონში კოალიციამ არჩევნები წააგო. ბიძინა ივანიშვილის თქმით, ამის შესახებ ალასანია კვლევის მომზადებას აპირებს, რის შემდეგაც ცნობილი გახდება სამეგრელოში არჩევნების წაგების მიზეზი. „თავდაცვის მინისტრი თავის პარტიაში წმენდას დაიწყებს და იმ შემთხვევაში თუ ე.წ. შემოყრილები აღმოჩნდებიან, ისინი პარტია „თავისუფალ დემოკრატებს" დატოვებენ", - დასძენს ივანიშვილი. მისივე თქმით, „თავისუფალ დემოკრატებში" ე.წ. ჩანერგილების არსებობა ირაკლი ალასანიას ბრალი არ არის, ამ შემთხვევაში „ნაციონალურმა მოძრაობა" იმარჯვა.

ივანიშვილი არ გამორიცხავს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას" ირაკლი

# biZina ivaniSvilis mesame gamosvla

ბიძინა ივანიშვილის თქმით, ხელისუფლებაში ყოფნისას „ნაციონალური მოძრაობის" წევრები ვირტუალურ სამყაროს აღწერდნენ და სურდათ, საკუთარი ბედნიერების გრძნობა მოსახლეობაზე გაევრცელებინათ, ახლა კი იგივე ხალხი ამბობს, რომ ქვეყანა ინგრევა, ამას ასე ვერ დატოვებენ, 4 წელი ვერ მოიცდიან და ცდილობენ, ამ პანიკით მოიცვან ყველა. „იციან, რომ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევთ და პანიკაში არიან, ამიტომ უნდათ, მთელი საქართველო პანიკაში ამყოფონ, თითქოს ყველაფერი ინგრევა,"–აღნიშნავს პრემიერი და დასძენს, რომ მიხეილ სააკაშვილი მუდმივად ცრუობს.

ივანიშვილი „ნაციონალური მოძრაობის" სხვა ლიდერებსაც ახასიათებს. მისი თქმით, თბილისის მერი გიგი უგულავა მშიშარა გამოდგა. „უგულავა პროკურატურამდეც არ მივიდა და ამ დროს უნდა, რომ გმირად გამოჩნდეს. პროკურატურამ კი გარკვეული გამონაკლისი დაუშვა და ის მერიაში დაკითხა," –შენიშნავს პრემიერი. მისივე თქმით, იმ საკითხების გარდა, რომლებზეც უგულავა დაკითხეს, მასთან კითხვები სხვა თემებზეც არსებობს. პრემიერის ინფორმაციით, ასევე იგეგმება ვანო მერაბიშვილის დაკითხვა.

ივანიშვილი ამბობს, რომ დღეს „ნაციონალური მოძრაობა" დამახინჯებულად ასრულებს ოპოზიციის როლს. „როდესაც „ნაციონალური მოძრაობა" რეალური ოპოზიციის ადგილს დაიჭერს, ჩვენ მაშინ დავიშლებით," –აცხადებს ივანიშვილი. პრემიერი იმასაც დასძენს, რომ კოალიციაში შემავალ ნებისმიერ პარტიას ახლაც აქვს კოალიციიდან გასვლის უფლება. "მათი ნებაა და ნებისმიერი ნიშა დაიკავონ, თუმცა ახლა მსგავსი არაფერი იგეგმება," –აღნიშნავს ივანიშვილი. კოალიციიდან გასვლის ყველაზე რეალურ პრეტენდენტად მედიაში თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას ასახელებენ. პრემიერი აცხადებს, რომ ალასანია კოალიციაში რჩება და მასთან შეხვედრას უახლოეს ხანშიც აპირებს. როგორც ივანიშვილი ამბობს, ვიცე-პრემიერობიდან ალასანიას გათავისუფლების შემდეგ გაჩნდა კითხვები, რომ ალასანია კოალიციას ტოვებს, მაგრამ ეს ასე არ არის, თავდაცვის მინისტრი სახელისუფლებო გუნდში რჩება. „უკვე მიღწეულია შეთანხმება, რომ ალასანია კოალიციის დაუკითხავად არაფერს გააკეთებს," –აღნიშნავს ბიძინა ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრი ალასანიას მიმართ საყვედურს რამდენიმე საკითხის გამო გამოთქვამს. როგორც ალასანიას გადაბირების მცდელობა ჰქონდეს. "ჭორები დადის, რომ ხვდებიან ერთმანეთს, აქვთ კომუნიკაციები. ირაკლის შევეკითხე და მითხრა, რომ არავითარი კავშირი არა აქვთ," –აღნიშნავს ივანიშვილი. „სანამ პოლიტიკაში ვარ, ვინ საითაც არ უნდა გადახტეს, მხოლოდ საკუთარ თავს დაიზიანებს",–ამბობს პრემიერ-მინისტრი.

როგორც ივანიშვილი ამბობს, ირაკლი ალასანია თავის საპრეზიდენტო კანდიდატურას ვიწრო წრეში განიხილავდა. ივანიშვილის განმარტებით, კოალიცია პრეზიდენტობის კანდიდატურის შესახებ გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად არ მიიღებს. პრემიერს ალასანია პრეზიდენტად არ წარმოუდგენია. „ჩემი პირადი გადმოსახედიდან ალასანია არ არის ეტალონური. ის, რაც მე ვთქვი, როდესაც ამ ინსტიტუციის აზრი განვმარტე, ალასანია ამ ეტალონს ვერ ერგება," –აღნიშნავს ივანიშვილი. პრემიერი ამბობს, რომ მიუხედავად მისი აზრისა, კოალიციის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს, სურვილის შემთხვევაში პრეზიდენტობისთვის იყაროს კენჭი, ოღონდ ამის ფორმები დაცული უნდა იყოს. „მე ვარ ხასიათით დემოკრატი. ყველას ყველაფრის უფლება აქვს. თუ კოალიციაში იქნება ვინმე, კოალიციას უნდა შეეკითხოს, თუ კოალიციიდან გავა, თავისი სურვილისამებრ მოიქცევა," –განმარტავს პრემიერი.

პრემიერის თქმით, საპრეზიდენტო კანდიდატად ვახტანგ ხმალაძის დასახელება სიმბოლური იყო. „მაშინ ხმალაძეს ძალიან დიდი სურვილი და აღფრთოვანება არ გამოუხატავს. ამით მინდოდა, მიმენიშნებინა, რომ ეტალონური იყო ხმალაძე. მე ხალხისთვის საპრეზიდენტო ინსტიტუტის ჩვენება მინდოდა და არა კანდიდატის დასახელება. რეალურ კანდიდატზე ვიმსჯელებთ და საზოგადოებას ცოტა მოგვიანებით გავაცნობთ," –აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერმა მედიას სიახლის შესახებაც ამცნო. ივანიშვილი ვიცე-პრემიერად განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის დანიშვნას აპირებს. „ეს გადაწყვეტილება ჯერ გუნდისთვის არ გამიმხელია,"–აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრს ალასანიას ვიზიტების შესახებაც ჰკითხეს. როგორც ბიძინა ივანიშვილი ამბობს, სახელმწიფო ხარჯებით დუბაიში თავდაცვის მინისტრის ვიზიტის შესახებ რაღაც კითხვები იყო, თუმცა ახლა ყველაფერი გარკვეულია. „ეს უნდა დავივიწყოთ," –ამბობს ივანიშვილი, –„შეცდომა შეიძლება, ყველას მოუვიდეს. ირაკლი ჯერ ისევ ახალგაზრდაა, რაღაც შეეშალა." რაც შეხება თბილისის მერ გიგი უგულავას ცოლთან ერთად ვიზიტის შესახებ ჟურნალისტის მიერ დასმულ კითხვას, როგორც ივანიშვილი ამბობს, ეს პირადული საკითხია და ამაში არ ჩაერევა. ივანიშვილის თქმით, მისი გუნდის წევრებზე წინასაარჩევნოდ "რაღაც ფილმებიც" გადაიღეს და ამ ფილმებმა მასთანაც მიაღწია. პრემიერი ამბობს, რომ ამის გამო მისი გუნდი წევრებს შერცხვათ, თუმცა მან ისინი დაამშვიდა და უთხრა, რომ მათი პირადი ცხოვრება მას არ ეხება. „ეს ჩემი საქმე არ არის, თქვენ თქვენს მეუღლეებს დაელაპარაკეთ. თუმცა, ოჯახთან მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს. საქართველოში ხერხდება და ჩემი ზოგიერთი ნაცნობი თავის მეუღლეს ღალატობს, თუმცა ამ შემთხვევაში ირაკლი არ მყავს მხედველობაში," –აღნიშნა პრემიერმა და დასძინა, რომ ალასანიას ბრიტანეთსა და საფრანგეთში ვიზიტის მონაცემების გამოქვეყნებას სთხოვს.

### საკადრო პოლიტიკა

პრემიერ-მინისტრმა მაღალი თანამდებობის კანდიდატთა გარდა, ზოგადად, სახელმწიფო სამსახურში საკადრო საკითხების შესახებ ისაუბრა. პრემიერ-მინისტრის თქმით, არასწორი იქნება, თუ იტყვის, რომ მის გუნდში ნაცნობობით ვერავინ გაბედავს ადამიანის მიღებას. ივანიშვილი თქმით, „კონკურსიც რომ გამოაცხადო, მასში ნაცნობიც მიიღებს მონაწილეობას, შერჩევას ხომ ისევ ის აკეთებს. მე რეალურად ვსაუბრობ. ყველას კონკურსი რომც ვაიძულო, კონკურსში მისი ნაცნობიც ხომ შეიტანს განაცხადს." ივანიშვილი ნაცნობის დასაქმების უპირატესობებს განმარტავს: „ის, რომ პროფესიონალ კადრს იცნობს, მისი გამოცდილების, წესიერების შესახებ იცის და მას ენდობა, ეს საშინელება და საოცრება არ არის." ივანიშვილი კონკურსის წესით ნაცნობზე უკეთესი კადრის აყვანასაც არ გამორიცხავს, მაგრამ იქვე აღნიშნავს: „ნუ დავივიწყებთ ქართველობას, როგორები ვართ ქართველები. ნუ გგონიათ, რომ საზოგადოებას 5 წუთში გარდაქმნით. ნუ გგონიათ, რომ მე რაღაც ფოკუსებს ჩავატარებ და მოვიყვან ისეთ ხალხს, რომ ახალ ცხოვრებას დავიწყებთ. ეს არ მოხდება, კარგად გავითვალისწინოთ და კარგად გავიგოთ. ჩვენ დღეს ასეთი საზოგადოება ვართ და მე არ მეშინია, ვთქვა, რომ ჩვენ ასეთები ვართ, ჩვენს გუნდშიც ასეთები არიან და მეც ასეთი ვარ, თუ გნებავთ," –ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მისივე თქმით, უკეთესია კონკურსი და პროფესიონალიზმი წინ წამოვიდეს, თუმცა რთულია, ადამიანი სამსახურში მარტო ბიოგრაფიის საფუძველზე აიყვანო. „მარტო ბიოგრაფიით როგორ შეიძლება კაცი აიყვანო? მე ბევრი გასაუბრება მინახავს. მოვა კაცი, აქვს იდელური CV და პირს გააღებს და სულ სხვა ადამიანია," –ამბობს ივანიშვილი.

კითხვაზე, თუ რამდენად არსებობს რისკი, პროფესიონალი უმუშევარი დარჩეს, ივანიშვილი პასუხობს, რომ ასეთი შემთხვევები აუცილებლად იქნება.

„რომ ვთქვა, ასეთი შემთხვევა ჩემს გუნდში არ იქნება, ვიცრუებ. ვერ მოვახერხებ ვერც ერთ მთავრობაში და ვერც ერთ ორგანიზაციაში ისეთი მენეჯმენტის ჩატარებას, რომ ასეთი ფაქტები არ იყოს,"–აღნიშნა ივანიშვილმა და პასუხად საფრანგეთის მაგალითიც მოიყვანა, სადაც, მისი თქმით, ადამიანების პატივისცემა უყვართ.

**დათო გამისონია.**
**გაზეთი „24 საათი"**

## კადრები

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დაინიშნენ:

**ნუგზარ შონია–** ქ.ხობში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**რინელი ადამია–** ახალი ხიბულის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**რინული ნოდია–** ახალსოფლის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**დათო ღვინჯილია–** ბიის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ნანა გვასალია–** გურიფულის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.



**ლევან კილასონია–** ზემო ჭვალონის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ფლორა ბუზალაძე–** თორსა -დღვაბის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

# საჯარო სკოლების პედაგოგებს ხელფასები გაეზარდათ

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 29 იანვრის N4/6 ბრძანების საფუძველზე საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობა გაიზარდა.**

საჯარო სკოლის პედაგოგთა შრომის ანაზღაურების სქემა ითვალისწინებს მასწავლებლების ხელფასების და ხელფასებზე დანამატების გაანგარიშების (მინიმალური ზღვარი) პრინციპებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

პედაგოგის განათლება და კვალიფიკაცია, საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური,სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობა (სამუშაო სტაჟი) სამუშაოს სპეციფიკა, სამუშაო დატვირთვა მოსწავლეების რაოდენობის მიუხედავად, კლასკომპლექტი (ორ ან ორზე მეტ გაერთიანებულ კლასთან ერთი მასწავლებლის მუშაობა), არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლება, სამუშაო დატვირთვა სამუშაო საათების მიხედვით.

## *შრომის ანაზღაურების სქემის მიხედვით განსაზღვრულია პედაგოგთა განათლების და კვალიფიკაციის ხუთი საფეხური:*

სრული ზოგადი განათლება; პროფესიული განათლება; ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 5 წლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი, 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4 წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება და 5 წლიანი დაუსწრებელი პედაგოგიური საგანმანათლებლო პროგრამის შედეგად გაცემული დიპლომი; დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი (მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი).

## სამუშაო სტაჟი

პედაგოგთა სამუშაო სტაჟი ითვალისწინებს პედაგოგის თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილებას: 5 წლამდე, 5-დან 10 წლის ჩათვლით, და 10 წლის ზემოთ. თითოეულ საფეხურს მინიჭებული აქვს შესაბამისი კოეფიციენტი, რომელიც პედაგოგთა განათლებისა და სამუშო დატვირთვის კოეფიციენტებთან ერთობლიობაში განსაზღვრავს ხელფასის განაკვეთს.

5 წლამდე მუშაობის გამოცდილების მქონე პედაგოგთა ხელფასები განსაზღვრულია წინამდებარე ინსტრუქციის 1-ლ დანართში, 5-დან 10 წლამდე - მე-2 დანართში, ხოლო 10 წლის ზევით - მე-3 დანართში.

## სამუშაოს სპეციფიკა

პედაგოგთა ხელფასზე დანამატი მოსწავლეების რაოდენობის მიუხედევად, განისაზღვრება 0.15 კოეფიციენტით. დანამატები, რომლებიც განსაზღვრულია კლასკომპლექტით სწავლებისათვის, არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებისათვის და კლასის დამრიგებლობისათვის ასევე განისაზღვრება კოეფიციენტებით. დანამატი კლასის დამრიგებლობისათვის მოსწავლეთა რაოდენობის მიუხედავადა, განისაზღვრება 0.25 კოეფიციენტით. კლასკომპლექტით, არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებითა და კლასის დამრიგებლობით, განსაზღვრული დანამატები არ არის დამოკიდებული პედაგოგთა ცენზზე და სამუშაო გამოცდილებაზე

## ხელფასის გამოთვლა სამუშაო დატვირთვის მიხედვით

მასწავლებლის ხელფასი გამოითვლება მისი დატვირთვის საფუძველზე. არსებობს 3 ტიპის დატვირთვა: ნაწილობრივი, სრული და სრულზე მეტი.

სრული დატვირთვა ნიშნავს 36 საათიან სამუშაო კვირას, რომლის შემადგენლობაშიც შედის 18 საგაკვეთილო საათი კვირაში. ნაწილობრივი დატვირთვის მქონე მასწავლებელი კვირაში მუშაობს 36–ზე ნაკლებ სამუშაო საათს, რომელთა შორის საგაკვეთილო საათები 18–ზე ნაკლებია. ნაწილობრივი დატვირთვის დროს მასწავლებელს პროპორციულად უმცირდება ხელფასი, დანამატები, გარდა სადამრიგებლო დანამატისა და საერთო სამუშაო საათების ოდენობა. მაგალითად, თუ მასწავლებელი ატარებს 10 საგაკვეთილო საათს, მაშინ მისი ხელფასი=სრული დატვირთვის ხელფასი (დანამატების ჩათვლით), შეფარდებული18-10 (საგაკვეთილო საათების ოდენობა), ხოლო მისი სამუშაო საათების საერთო რაოდენობა=10 (საგაკვეთილო საათების ოდენობა)*2-ზე. სრულზე მეტი დატვირთვა აქვს მასწავლებელს, რომელიც სკოლაში მუშაობს 40 სამუშაო საათს და მათ შორის ატარებს კვირაში 19 ან მეტ საგაკვეთილო საათს. 20–ზე მეტი ნებისმიერი საგაკვეთილო საათის ჩატარებისას მასწავლებელს სრული განაკვეთის ხელფასზე ეძლევა დანამატი ყოველ შემდგომ საათზე 5 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ ხელფასი მასწავლებელს ეძლევა არა მხოლოდ საგაკვეთილო საათების ჩატარებისთვის (სრული დატვირთვის მასწავლებელს 36 საათიანი სამუშაო კვირისთვის), ეს არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი სამუშაო საათებში (საგაკვეთილო საათების გარდა) აუცილებლად იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს საერთო სამუშაო (პედაგოგის განათლების დონის ამაღლება, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა, სასწავლო მასალის მომზადება და სხვა) შეასრულოს სახლში. თუ სკოლის ადმინისტრაცია თვლის, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, დირექცია უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს არასაგაკვეთილო საათების პერიოდში სკოლაში მუშაობა სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე.

## სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი

პედაგოგს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, უნდა ჰქონდეს სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა და მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი ყოველთვიურად 75 ლარის ოდენობით. სერტიფიცირებული პედაგოგი, რომელიც წერილობით უარს იტყვის სრულ დატვირთვაზე, არ მიეცემა გათვალისწინებული დანამატი. პედაგოგს, რომელსაც ეძლევა გათვალისწინებული დანამატი და აქვს მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის – ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი, გათვალისწინებულ დანამატთან ერთად მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი ყოველთვიურად 125 ლარის ოდენობით.

პედაგოგს, რომელსაც ჩაბარებული აქვს მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა, აქვს მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის – ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით განეკუთვნება შესაბამის მასწავლებელთა საბაზო კომპიუტერული უნარებისა და ინგლისური ენის – ცოდნის დამადასტურებელი სასერტიფიკაციო გამოცდის საუკეთესო შედეგების მქონე მასწავლებელს, ხელფასი უნდა შეევსოს 1000 ლარამდე, ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული ხელფასისა და ხელფასზე დანამატის გათვალისწინებით.

## პედაგოგის ხელფასის გაანგარიშების მაგალითი

გამოვითვალოთ სრული დატვირთვის მქონე პედაგოგის ხელფასი, რომელსაც გააჩნია:

მაგისტრის აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4 წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება, 10 წლიანი სამუშაო სტაჟი; ამავდროულად იგი ასწავლის საქართველოს ისტორიას არაქართულენოვან სკოლაში და დამრიგებლობს 35 მოსწავლეს.

მითითებული პედაგოგის ხელფასის გაანგარიშების უმარტივესი გზაა:

5 - დან 10 წლის ჩათვლით სამუშაო გამოცდილების მქონე პედაგოგების ხელფასები (ჩვენს შემთხვევაში პედაგოგის ხელფასი შეადგენს 408.70 ლარს);

სწავლება კლასკომპლექტით არაქართულ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის და საქართველოს გეოგრაფიის სწავლებითა და კლასის დამრიგებლობით განსაზღვრული დანამატები (ჩვენს შემთხვევაში დანამატი შეადგენს 3ო,5+76,25=106,75 ლარს);

შევკრიბოთ ზემოთ მიღებული თანხები (408,7 +106,75=515,45 ლარი), ანუ პედაგოგის ერთი თვის ხელფასი შეადგენს 515,45 ლარს.

## კაღრები

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დაინიშნენ:

**გოჩა როდონაია–** ნოჯიხევის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**მარინე ლაგვილავა–** პირველი მაისის თემში რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ავთანდილ კვარაცხელია–** საჯიჯაოს თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ირაკლი ბერაია–** ქარიატის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**გია გვარამია–** ქვემო ქვალონის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ემზარ ბერაია–** შუა ხორგის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ორენა გელენიძე–** ჭალადიდის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

# უამრავი ადამიანის ცხოვრებაში ახალი „ერა" დაიწყო

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე თითქმის მთელს საქართველოში ახალი სამთავრობო გუნდი მოვიდა. საკადრო ცვლილებებმა სხვა მუნიციპალიტეტებისაგან განსხვავებით ხობში უმტკივნეულოდ და ყოველგვარი ექსესების გარეშე ჩაიარა, ხობის საკრებულოს თავმჯდომარე კოალიცია „ქართული ოცნების" წევრი მამუკა ქარდავა გახდა. ამ ცვლილებამ თავისთავად გამოიწვია ფრაქცია ქართული ოცნების წინა პლანზე გადმოწევა, ეს ფრაქცია „ხობი დემოკრატების" ბაზაზე შეიქმნა და უწინდელისაგან განსხვავებით, ის გაცილებით მეტი წევრისაგან შედგება. ძირითადად ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრებით შეივსო. ამ და სხვა საკითხებზე საუბროდ ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ აბაკელიას ვესტუმრე.

**ბატონო თენგიზ, პოლიტიკაში როგორ მოხვედით?**

–1989 წლის 9 აპრილს განვითარებული მოვლენების შემდეგ. რამეთუ ჩემთვის, როგორც ერთ-ერთი ქართველისათვის, მიუღებელი იყო ის ფორმა, რა ფორმითაც მაშინდელი ხელისუფლება გაუსწორდა ქართველი ერის ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. მერე თავადაც კარგად იცით, მოვლენები თუ როგორ განვითარდა, სახელმწიფოს სათავეში ზვიად გამსახურდია მოვიდა. იყო ქაოსის და არეულობის ავადსახსენებელი წლები. ზვიად გამსახურდიას მთავრობის დამხობის შემდეგ კი გავერიდე ყველაფერს, სამსახურეობრივ შემოთავაზებებზეც უარი ვთქვი და 1992-2010 წლებში ფერმერულ და კომერციულ საქმიანობს ვეწეოდი. 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შემდეგ გავხდი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ზემო ქვალონის თემის მაჟორიტარი დეპუტატი, ფრაქცია „ხობი დემოკრატების" წევრი. 2012 წლის დეკემბრიდან ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე.

**თქვენ, „2012 წლის არჩევნებში გამარჯვებამდე წარმოადგენდით „ხობი დემოკრატების" ფრაქციას, რომელიც ოთხი წევრისაგან შედგებოდა. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ამ ფრაქციის ბაზაზე შეიქმნა ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება", ამჯერად ფრაქციაში მეტნი ხართ, ამასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?**

–არჩევნებში „ქართული ოცნების" გამარჯვებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ერთად დგომით და ერთსულოვნებით ოცნების ახდენა მართლაც შესაძლებელია და ამ გამარჯვებით უამრავი ადამიანის ცხოვრებაში ახალი „ერა" დაიწყო, დაიმსხვრა უსამართლობის ის დიდი მანქანა, რომელსაც ცხრა უმძიმესი წელი ვერა და ვერ მოვერიეთ. ეს შეძლო ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა. წინსვლა, დამეთანხმებით, შეიმჩნევა. რაც შეეხება კონკრეტულ შეკითხვას გიპასუხებთ, ფრაქცია „ქართული ოცნების" შექმნა მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც საკრებულოს თავმჯდომარე შეიცვალა. რაც შეეხება წევრებს, ჩვენს კოალიციაში ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრებიც არიან. ეს კანონზომიერი და ჩვეულებრივი პოლიტიკური მოვლენაა, საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების" გამარჯვების შემდეგ ადამიანებს მიეცათ საშუალება თავად მიიღოს გადაწყვეტილება და გააკეთოს არჩევანი ყოველგვარი შიშისა და ზეწოლის გარეშე.

**და ეს ერთგვარ დისკომფორტს არ გიქმნით?**

–მოდით, ამაზე პასუხისაგან თავს შევიკავებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი, მათ თავად გამოხატეს ამის სურვილი. ალბათ თვლიან, რომ ამ ეტაპზე ასე უკეთესია.

**საკადრო ცვლილებების ბუმმა ვფიქრობ, რომ გადაიარა. ეს ახალი მთავრობის მოსვლას ყოველთვის თან ახლავს და გასაკვირი ვფიქრობ არაფერია. წინამორბედნი ამ ყოველივეს უფრო მტკივნეულადაც ახორციელებდნენ. თქვენ რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

–ნინო, მე საკადრო ცვლილებებში არ ვერევი. გეთანხმები, რომ ბევრი შეიცვალა, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ყველამ, ვინც სამსახურები დატოვა, განთავისუფლებულიქნენ პირადი განცხადების საფუძველზე, ხოლო, მათ ნაცვლად „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაინიშნენ მოვალეობის შემსრულებლები. ზოგიერთი ძველი კვალიფიციური კადრი დატოვეს, ბევრიც შესაცვლელია, რაც მთავარია, კადრების შერჩევისას პროფესიონალიზმს უნდა მიექცეს ყურადღება, მაგრამ ყველაფერს დრო სჭირდება.

**ბოლო პერიოდში პარტია „ქართული ოცნების" რაიონული ორგანიზაციების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა გაჩნდა საზოგადოებაში და ერთგვარი ვნებათაღელვაც კი გამოიწვია...**

–მინდა გითხრათ, ხობში ახლო მომავალში პარტია „ქართული ოცნება" დაფუძნდება და მათი დამფუძნებლები იქნებიან კოალიციაში შემავალი პარტიის წარმომადგენლები. რაც შეეხება ვნებათაღელვას, მინდა გითხრათ, ამის საფუძველი არ არსებობს.

**ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიმართ შეთქმულებაშიც კი დაგადანაშაულეს...**

–სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არავითარი შეთქმულება ბატონ ბიძინას წინააღმდეგ არ ხორციელდება. ეს განცხადება ცოტა არ იყოს არასერიოზულად მეჩვენება.

**რა პროექტების განხორციელებას აპირებთ საკრებულოში, სამომავლო გეგმები?**

–კოალიცია „ქართული ოცნება" გარკვეული დაპირებებით და გეგმებით მოვიდა ხელისუფლებაში. ჩვენც, ადგილობრივი ხელისუფლება ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით ვეცდებით თითოეულმა ხობელმა ახლო მომავალში საკუთარ თავზე იგრძნოს ცვლილებები უკეთესობისკენ. პირველ ეტაპზე სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მეშვეობით 2013 წელს უსასყიდლოდ დამუშავდება ნებისმიერი ხობელის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული სახნავ-სათესი მიწები, უზრუნველყოფილნი იქნებიან სასუქით. დამეთანხმებით, რომ ეს დიდი შეღავათი იქნება სოფლის მოსახლეობისათვის და მათ საშუალებას მისცემს საგაზაფხულო სამუშაოებისათვის საჭირო თანხები მიმართონ სხვა სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. ასევე იგეგმება ხობის მუნიციპალიტეტში მცირე თუ საშუალო სიმძლავრის საწარმოების მშენებლობა. იქმნება სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო სამსახური, რომელიც დაინტერესებულ პირებს დაეხმარება და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სფეროში ბიზნესპროექტების განხორციელებაში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების კორდინირებული მუშაობით მაქსიმუმს შევძლებთ.

ესაუბრა
ნინო გერგაია.

## კადრები

### ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით დაინიშნენ:

**ნანა კაკულია**– ხამისძურის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**შავლეგ ბუკია**– ხეთის თემში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**აკაკი ხურცილავა**– სოფელ პატარა ფოთში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ზაალ ბერაია**– სოფელ პირველ ხორგაში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**კობა კილაძე**– სოფელ საგვიჩიოში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**როზენ ლატარია**– სოფელ ყულევში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**ნუგზარ ჭაღალიძე**– სოფელ შავღელეში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

**გოგი გოგინავა**– სოფელ ძველ ხიბულაში მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი.

# პატრიარქის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა

*ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ გამოფენა– სტენდური კონფერენცია, როგორც გამგეობის მთავარმა სპეციალისტმა ძეგლთა დაცვის საკითხებში გოგიტა ჩიტაიამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, გამოფენა ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადებიდან 80, ხოლო აღსაყდრებიდან 35 წლის იუბილეს და ის მომავალშიც გაგრძელდება.*

*გამოფენა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ წარმოდგენილ ნივთებს და მიეღოთ ისტორიული სახის ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.*

*გამოფენაზე მოსული დამთვალიერებლები, რა საინტერესო სიახლეებს გაეცნენ, ამაზე ვრცლად თავად გამოფენის ორგანიზატორი ბატონი* ***გოგიტა ჩიტაია*** *გვესაუბრება.*

–ხობის მუნიციპალიტეტს ძალიან მდიდარი წარსული გააჩნია, ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევებმა უჩვენა, რომ ამ ტერიტორიაზე 250-ზე მეტი ისტორიული ძეგლი და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტია ფიქსირებული. ეს გასაკვირიც არ არის, რადგან მუნიციპალიტეტს კოლხეთის ზღვისპირა ბარის ცენტრალური ნაწილი უკავია, სადაც კოლხური კულტურის ჩასახვა-განვითარება მიმდინარეობდა.

ჩვენ ტრადიციულად, ყოველი საშუაო წლის ბოლოს სამეცნიერო კონფერენციებს ვატარებთ, 2012 წელს ჩატარებულ სამეცნიერო ხასიათის სამუშაოების შესახებ კი, სტენდური კონფერენცია მიმდინარე წლის 24 იანვრიდან 28 იანვრის ჩათვლით ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ფოიეში გაიმართა. საზოგადოების წინაშე გამოტანილიქნა განსაკუთრებული მნიშვნელობის არტეფაქტები, ფოტომასალა. გამოფენა დაათვალიერა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებმა, მისასლმებელია, რომ განსაკუთრებული ინტერესით გამოირჩეოდა მოსწავლე-ახალგაზრდობა. მნახველების ყურადღება მიიპყრო ქვის იარაღებმა, კონკრეტულად კაჟის შუბისპირებმა, ნამგლის ჩასართავებმა, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებმა, მათ შორის ძვ. წ. აღრიცხვით XX საუკუნით დათარიღებულმა ორნამენტიანმა თიხის ქონის მოზრდილმა ნაწილმა, ბრინჯაო–ადრერკინის მასალებთან იყო ახალი დროის–I–X საუკუნეების მასალები, მათ შორის II–VI საუკნეებით დათარიღებული წელში გამოყვანილი ეგრისული ამფორა, რომელიც მთელია და მნახველებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პირველად ხობის ისტორიაში დამთვალიერებელმა იხილა ჩვენს მიერ აღმოჩენილი სკიპტოგრამიანი ქვები, ეს კი ადასტურებს, იმას, რომ ჩვენს წინაპრებს ჰქონიათ მცდელობა თავიანთი ნააზრევისათვის წერილობითი ფორმა მიეცათ. კონფერენციის მსვლელობისას ახალსოფლის მკვიდრის კახა აბრამიას ინფორმაციის საფუძველზე, ამ სოფლის მცხოვრებლის გიორგი დავაძის ეზოს უკან ძ. წ. აღრიცხვით VIII-VII საუკუნეების ძველ კოლხური ნამოსახლარი დავაფიქსირეთ.

ზემოთ აღნიშნული ნივთები სამუდამო ბინას ხეთის საბრძოლო დიდების და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაიდებს, რადგან როგორც წესი, მოცემულ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში მოპოვებული მასალა ამ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმს უნდა ჩაბარდეს. ბოლო წლებში ხეთის მუზეუმს ათასობით მასალა ჩავაბარეთ, რამდენიმე წლის წინ, აქ არქეოლოგიური მასალების გამოფენა მოეწყო, რომელსაც ერთი დიდი დარბაზი უკავია. აქ ბევრი ისეთი ნივთია დაცული, რომელზედაც მსოფლიოს დიდი და სახელგანთქმული მუზეუმები არ იტყოდნენ უარს.

სამუზეუმო საქმიანობას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობისას პალეონტოლოგიური კოლექცია უნახავს და შენიშნავს: ჩემს ბატონს ამაზე უკეთესი აქვს, თავის ბატონში იგი ვახტანგ VI-ს გულისხმობდა. XIX-XX საუკუნეებში სიძველეებით და სამუზეუმო საქმიანობით მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები– აშშ, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი დაინტერესდნენ. ეს ის ქვეყნებია, სადაც განსაკუთრებით იციან ფულის ყადრი, ამ ქვეყნებმა არ დაიშურეს არც ფულადი სახსრები, არც სამეცნიერო პოტენციალი და ამ ქვეყნების მუზეუმებშია თავმოყრილი მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური მასალები. ზოგჯერ საზოგადოებაში გაიჟღერებს აზრი, რომ თუ მუზეუმს ფინანსური მოგება არ მოაქვს, ის უსარგებლოა, რაც არასწორი აზრია. მუზეუმები ფინანსური მოგებისთვის არ არსებობენ. თვით მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ნიუ იორკის „მეტროპოლიტენ მუზეუმი“ თავისი შემოსავლებით ხარჯების მესამედსაც კი ვერ ფარავს. მუზეუმის მთავარი დანიშნულებაა საგანმანათლებლო და კულტურული მისია, სამუზეუმო საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება უაღრესად დადებითად აისახება საზოგადოებაზე. მუზეუმში ყოფნისას ადამიანი ჩაფიქრდება, მას განსაკუთრებული მოწიწებისა და წარსულისადმი კრძალვის გრძნობა ეუფლება, იგი, ფაქტიურად ისტორიული ნივთების განსასვენებელს წარმოადგენს. აქ ნათლად ჩანს ის, თუ როგორია საზოგადოების დამოკიდებულება წარსულისადმი, მისი კულტურული, განსაკუთრებით ესთეტიკური დონე.

ხეთის მუზეუმი არქიტექტორულ კომპლექსს წარმოადგენს, მას საერთაშორისო ექსპერტებმა ერ-ოპის ერთ-ერთ ულამაზესი ინდუსტრიული ნაგებობა უწოდეს. ეს ის ადგილია, სადაც ადამიანი ბუნებრივ ფენომენებს ეზიარებოდა,

ვახტანგ როდონაიას ადგილის დედა ხობის მუნიციპალიტეტის სოფელი ხეთაა, სადაც დაკავშირებული იყო მისი ახალგაზრდული წლები... იგი თავისი შემოქმედებით, საზოგადოებრივი ცხოვრებით მშობლიურ კუთხეს მუდამ ეამაყებოდა.

ბატონი ვახტანგ როდონაია ხობის საპატიო მოქალაქე გახლდათ...

დიდი მწიგნობარი, მრავალი სასკოლო წიგნის ავტორი, ქართული სიტყვიერების ერთგული „დასტაქარი" ამ ქვეყნიდან როგორც იცხოვრა, ისევე ჩუმად წავიდა...

დღეს ვაქვეყნებთ სტატიებს, რომელიც ქალბატონმა ნანა ბუკიამ შეკრიბა და მოგვაწოდა. ვფიქრობთ, ბატონი ვახტანგისთვის ეს „ვალის" გადახდის პირველი ეტაპი იქნება.

# დიდი ინტელექტუალი და ჰუმანისტი

ქართველ საზოგადოებას ისე ეუწყა ბატონ ვახტანგ როდონაიას გარდაცვალება, როგორი სისადავითაც ცხოვრობდა მთელი ცხოვრება. ბევრმა ხობელმა დღესაც კი არ იცის ამის შესახებ... ხობელთა მცირე დელეგაციამ გააცილა იგი უკანასკნელ გზაზე... დღეს ტკივილიანად ვიხსენებთ მას...

ვახტანგ როდონაია დღეს ჩვენს

გვერდით აღარაა, მაგრამ ვერავინ წაშლის იმ კვალს, რაც მან ახალგაზრდებსა და ზოგადად საზოგადოებას დაუტოვა. ბატონ ვახტანგს ბევრჯერ უთქვამს უარი, როგორც მე ვიცი, „აკადემიურ რეგალიებსა" და სამეცნიერო წოდებაზე, სამეცნიერო კარიერაზე... და ასე, ყოველგვარი ჩინების გარეშე დაიმკვიდრა დიდი ინტელექტუალისა და ჰუმანისტის სახელი.

ბატონი ვახტანგი იყო ადამიანი, რომელმაც პედაგოგიური შემოქმედების შესანიშნავი გზა გაიარა. იგი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში, საპატრიარქოსთან არსებულ სასულიერო აკადემიის სამგალობლო სასწავლებელში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დიდი ივანე ჯავახიშვილის, კორნელი კეკელიძის, სერგი ჯიქიას, აკაკი შანიძის, ილია ვეკუას, არნოლდ ჩიქობავასა და დიდი მეცნიერების სულიერი საზრდოთი ჩამოყალიბებული მკვლევარები იკვლევდნენ სამეცნიერო გზებს... ერთ-ერთი მათგანი ბატონი ვახტანგი იყო. გრიგოლ კიკნაძის „დამოძღვრილი", მრავალი წლის შემდეგაც მადლიერებით იხსენებდა დიდ პედაგოგს და ერთგან აღნიშნავს, რომ „ბატონი გრიგოლი გაქვავებული აზრის ნგრევის ჩვევას გვინერგავდა, „დაეჭვების ხელოვნების" დაუწერელ კურსს გვიკითხავდა", რომ არსებულის „განურჩეველი გაცამტვერება" კი არა, „ახალი, ცხადი სააზროვნო კონსტრუქცია" შეგვექმნაო.

ასე ჩამოყალიბდა თანდათან მოაზროვნე დიდ პედაგოგად და წლების შემდეგ მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა სასკოლო სახელმძღვანელოთა სრული კურსი... დღეს ამ სახელმძღვანელოებზე ახალგაზრდები იზრდებიან და ბატონი ვახტანგის იდეების თანამოზიარენი ხდებიან...

ბატონი ვახტანგი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო. მე მქონდა ბედნიერება მასთან ახლო ურთიერთობისა და შევსწრებივარ მის კამათს, მსჯელობას, საოცარ იუმორისტულ გადახვევებს. მას ძალიან უყვარდა ზაფხულსა და შემოდგომაზე-მის დაბადების დღეზე ხობის რაიონის სოფელ ხეთაში ჩამოსვლა მის უსაყვარლეს ნათესავებთან -ზაურ კაკაბაძის ოჯახში... აქ ფიზიკურადაც ისვენებდა და სულიერადაც. ყვებოდა ბავშვობის-დროინდელ ამბებს, ონავრობებს თავის მეგობრებთან ერთად რომ ჩაედინა, ხატავდა ამ მოგონებებით სახეებს, ფოლკლორულ სინამდვილეს და აცოცხლებდა იმდროინდელ ყოფას...

ეტყობოდა დიდი სიყვარულით იყო ნაკვები... ასეთივე დიდი სიყვარულით უყვარდათ და გვიყვარდა...

ბატონი ვახტანგი ანზორ ერქომაიშვილთან ერთად მთელი შემართებით იყო ჩართული ხალხური სიმღერებისადმი მიძღვნილ ხობის საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ბატონი გოდერძი ბუკიას თაოსნობით 2 წელიწადში ერთხელ ხობში იმართებოდა. ყოველი ფესტივალისთვის თემატური წიგნები გამოდიოდა და მის გამოცემას ბატონი ვახტანგი უძღვებოდა. ეს უნიკალური გამოცემები შეუნახავს მუსიკალური ფოლკლორისტების სახელებს ქართულ კულტურას...

ბოლო ფესტივალზე მადლიერების ნიშნად, ხობის მოსახლეობის თხოვნით, ვახტანგ როდონაია (ვატო) ხობის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს! ხობის კულტურის სახლის სცენაზე მაშინ გამოჩნდა პირველად– ჩუმად საქმის კეთების მოყვარული...

ძალიან ძნელია ბატონ ვახტანგზე წერა, ემოციების გარეშე მსჯელობა ამ უჩვეულოდ დიდბუნებოვან ადამიანზე...

ბატონი ვახტანგი ფილოლოგი გახლდათ და იყო თავისი საქმის პროფესიონალი. ძველი ქართული მწერლობის მსოფლმხედველობრივი საფუძვლებით ნასაზრდოები, თავის სახელოვან თანაკურსელებთან ერთად ქმნიდა საოცარ ეპოქას ქართულ ლიტერატურაში. რისმაგ გორდეზიანი, შუქრია აფრიდონიძე, თამაზ კვაჭანტირაძე, ელგუჯა ხინთიბიძე, გურამ ბენაშვილი და კიდევ ბევრი სახელგანთქმული ადამიანი, მისი თანაკურსელები უსაზღვროდ სიყვარულითა და მოწიწებით იგონებენ ამ ზნეობრივად ამაღლებულ ადამიანს და მას „მწიგნობარ რაინდს" უწოდებენ.

ბატონი ვახტანგი მრავალმხრივ განათლებული ადამიანი იყო, თავის ქვეყანაზე შეყვარებული ღრმა ისტორიული ფესვებისაკენ მომზირალი და ამავე დროს საოცრად თანამედროვე. იგი თავისი ქვეყნის ნამდვილი „ჭირისუფალი" იყო და ყოველგვარ პრობლემატიკას ეხმაურებოდა, სადაც მისებური ინტელექტით, ფუნდამენტურად შლიდა საკითხის არსს... წერდა საზოგადოებისა და პრესის ურთიერთობებზე, მრავალსაუკუნოვან ლიტერატურაზე, მრავალხმოვან სიმღერაზე, ქვეყნის ტკივილზე- 9 აპრილზე... მისი პუბლიცისტიკა მამულიშვილის ხედვებია თავის ქვეყანაზე...

ვახტანგ როდონაია ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დაფასებული, მიუხედავად იმისა, რომ ის დაჯილდოებული იყო იაკობ გოგებაშვილისა (2000წ.) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი არაყიშვილის სახელობის პრემიით (2008წ.). მისი ღვაწლი პედაგოგიური მეცნიერების წინაშე მის სახელს უკვდავყოფს და დიდ საზოგადო მოღვაწეთა გვერდით დაუმკვიდრებს ადგილს.

**ნანა ბუკია**

# საქართველოს მოყვარე

ამბობენ, ვინც მოკვდა, თავის თავს მოუკვდაო. ვახტანგ როდონაია საქართველოს მოუკვდა. ჩვენ ბოლო 12 წელი ერთად ვიმუშავეთ ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრში, ეს წლები ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ნაყოფიერ წლებად მიმაჩნია.



ვახტანგმა კარგად იცოდა ქართული ხალხური სიმღერის ფასი და მნიშვნელობა მსოფლიოს მუსიკალურ ფოლკლორში, ამიტომ იგი დიდი პასუხისმგებლობითა და შესაშური ენთუზიაზმით მუშაობდა ამ დარგში. მას ჰქონდა მუსიკალური სამყაროს შეცნობისა და შეფასების უტყუარი ალღო და უნარი, დახვეწილი გემოვნება, მკვეთრად გამოკვეთილი საკუთარი ხედვა და ანალიტიკური აზროვნება.

ვახტანგ როდონაია იყო ღვთაებრივი ნიჭით დაჯილდოებული უსპეტაკესი პიროვნება, უანგარო, უპრეტენზიო, უკომპრომისო, სამართლიანი, თავდაჭერილი, მორიდებული, იშვიათი მთხრობელი, იუმორით სავსე. იგი ჩემთვის უდიდეს ავტორიტეტად იქცა არა მარტო ლიტერატურაში, მისგან ბევრი რამ ვისწავლე, მასთან ერთად ვწყვეტდი ქართულ სიმღერასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. მისმა მაღალნიჭიერებამ და უდიდესმა განათლებამ დასაბამი მისცა იშვიათ გამოცემებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფოლკლორისტიკისათვის; სამაგალითოდ 1901-1914 წლების უნიკალური ფონოჩანაწერების კრებულიც კმარა.

ვახტანგ როდონაია დიდად აფასებდა ძველი თაობის მომღერალთა ღვაწლს, სიყვარულით ისმენდა ქართული ხალხური სიმღერების უძველეს ფონოჩანაწერებს ჩვენი შესანიშნავი მომღერლების შესრულებით და ამ სიმღერებს აღიქვამდა, როგორც მათი მაღალი მუსიკალური აზროვნების ნაყოფს.

2002 წლიდან ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრში ჩვენთან მუშაობდა გამოჩენილი ფოლკლორისტი კუკური ჭოხონელიძე. ამ ცენტრის არსებობის პერიოდში ეს იყო მეტად პროდუქტიული წლები; გამოვეცით სხვადასხვა კუთხის ქართული სიმღერების სანოტო კრებულები და კომპაქტური დისკები სათანადო გამოკვლევებითა, ძველი თაობის მივიწყებულ მომღერალთა მონოგრაფიული სახის კრებულები, იშვიათი კატალოგები და სხვა.

სამწუხაროდ, კუკური ჭოხონელიძე ადრე წავიდა ჩვენგან, ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა და სიმძიმე ამ ცენტრის მთავარ რედაქტორს ვახტანგ როდონაიას დააწვა მხრებზე.

ჩვენ გაორმაგებული ენერგიით მოგვიხდა მუშაობა.

2006 წელს საპატრიარქოსთან გაიხსნა ტრადიციული გალობისა და სიმღერის უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი, სადაც ვახტანგ როდონაია ქართულ ლიტერატურას ასწავლიდა; მანვე ამ საწავლებელს დიდი ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის სახელი დაარქვა, ხოლო 2010 წელს ვახტანგის თაოსნობით ხობში გიორგი მთაწმინდელის 1000 წლის იუბილე და სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა. ვახტანგ როდონაია ბევრი სასიკეთო საქმის წამომწყები და ინიციატორი იყო, მაგრამ გამოჩენა არ უყვარდა, იგი ყოველთვის ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა.

ბოლო წლებში ძველი ქართული კულტურის ძეგლების, ეთნოგრაფიის და მუსიკალური ფოლკლორის სამტომეულზე ვმუშაობდით, ეს არის საუკუნის პროექტი, რომლის გამოცემა ა.შ.შ. ერთ-ერთმა ცნობილმა გამომცემლობამ იკისრა. ამ შემოქმედებით ჯგუფში გამოჩენილი მეცნიერები, ხელოვნებათმცოდნეები, ეთნომუსიკოლოგები და ეთნოგრაფები მოვიწვიეთ, მთავარი რედაქტორი ვახტანგ როდონაია იყო. იგი მთელი მონდომებით, ენერგიის უდიდესი დაძაბვით მუშაობდა, უზარმაზარი შრომა გასწია, მაგრამ ამ საქმის გასრულება აღარ დასცალდა...

პარალელურად ვახტანგ როდონაია სასკოლო ლიტერატურის სახელმძღვანელოთა უნიკალურ გამოცემებზე მუშაობდა, რაც თავდაუზოგავ შრომასა და ენერგიას მოითხოვდა. ვფიქრობ, ასეთ დატვირთვას ერთი სიცოცხლე არ ეყოფოდა; არც ეყოვახტანგ როდონაია გაიხარჯა.

ყოველ დილით 6 საათისათვის ვახტანგი და მე ერთმანეთს ტელეფონით ვეხმიანებოდით, ვიცოდით, რომ ამ დროს არც ერთს არ გვეძინა. მე მისგან საჭირო კონსულტაციებს ვიღებდი.

ორი კვირაა ჩემი ტელეფონი დუმს, აღარავინ მირეკავს...

რა ვქნა ახლა მე?

**ანზორ ერქომაიშვილი**

# მ ე კ ლ ი ტ ე

საწიგნეთში გლოვაა-წიგნს მოუკვდა ვახტანგ როდონაია.

საწიგნეთი იგივე საკაცეთია, ოღონდ-უკეთესი: იქ კაცის ჭეშმარიტი ფასი უკეთ იციან, ვიდრე ჩვენში.

ვატა წიგნის კაცი იყო, წიგნის გიჟი, გარკვეული აზრით- წიგნისგან შექმნილი და ამავდროულად-წიგნის შემქმნელიც.

მწიგნობარი გახლდათ, ანუ- „წერილთ ოსტატი" საბასეული განმარტებით.

წიგნი კი ორლესულია: წიგნს შეუძლია ადამიანად გაგხადოს, მასვე ძალუძს ჩრჩილად გაქციოს კაცი.

და იტყვის მაცხოვარი „წიგნის ჩრჩილად" ქცეულ ცრუმწიგნობრებზე, წიგნის სულს რომ ვერ სწვდებიან და მის ასოს ემონებიან: „ვაი თქვენდა, მწიგნობარნო, ცათა სასუფეველს რომ უხშობთ ხალხს-არც თქვენ შედიხართ და არც შემსვლელთ ანებებთ შესვლას".

ვატა როდონაია კი- ეს ჭეშმარიტი მწიგნობარი- სწორედ წიგნის საშუალებით უხსნიდა ცათა სასუფეველის კარს უამრავ ახალგაზრდას.

ამ კარის კლიტე- გასაღები კი, პირველ ყოვლისა, სასკოლო სახელმძღვანელოები მგონია.

სწორედ სასკოლო სახელმძღვანელოებს ქმნიდა ვახტანგ როდონაია- ცათა სასუფევლის ეს უჩინარი მეკლიტე.

ამ დიდ საქმესთან გათანაბრებულ მადლად მიმაჩნია მისი პრაქტიკული მოძღვრობა- მასწავლებლობა უამრავ ყმაწვილთან, არადა, ზოგი საყვედურობდა კიდეც: რაში ხარჯავ შენს ნიჭსა და ენერგიას, ამას სჯობდა დისერტაციები დაგეცვაო.

მისთვის, მისი ოჯახისთვის, სჯობდა, საქართველოსთვის-არა!

ვატა თვითონ იყო წიგნი და მისგან ისევე სწავლობდა ყმაწვილი, როგორც წიგნისაგან... ცოტა -უკეთესადაც.

წიგნის მერე მისი მეორე სიყვარული სიმღერა იყო და ქართული ხალხური სიმღერების კვლევა-გამოცემის საქმესაც ვატამ დიდი ამაგი დასდო.

დღესა და ღამეს ასწორებდა, დაყუდებული ბერივით მუშაობდა ყველაფრისაგან მომწყდარი... შეეძლო შლეგსავითაც აეწყვიტა: წართვით ესვა, ექეიფა, ეცეკვა, „ერთი მსახიობის" სპექტაკლები მოეწყო... ახლაც თვალწინ მიდგას-სახელოებჩამოფართხუნებული, ცერებზე შემდგარი ვატა უსერიოზულესი სახით ცეკვავს ოსურს: „ვოსებო, ვოსებო, სარაია დამწვარა"...

მარტო ჩვენთან-არა, ჩვენს შვილებთანაც მეგობრობდა: ანის სული უღუღუნებსო, ერთხელ ჩემს შუათანა გოგოზე მითხრა.

ამნაირად თქმა მარტო ვატას შეეძლო.

მადლობა უფალს, ვატა როდონაიავ, რომ ჩვენ, ცოდვილებს, ჟამითი ჟამად იგი შენნაირ კაცებს მოგვივლენს ხოლმე სულის საოხად, განსაწმენდელად და სანუგეშოდ.

**თამაზ კვაჭანტირაძე**

# გამოთხოვება ვახტანგ როდონაიასთან

2012 წლის 1 დეკემბრის მზიან დღეს სიონის ტაძარში შეკრებილი მრავალრიცხოვანი საზოგადოება ეთხოვებოდა ვახტანგ როდონაიას- ადამიანს, რომლის ნახევარსაუკუნოვანმა მსახურებამ თავისი კვალი დააჩინა ქართულ სიტყვიერებას, ხოლო ინტელექტუალურ და რაინდულ თვისებათა იშვიათმა ნაზავმა-მთელ მის იერს, შინაგანსა თუ გარეგნულს; იმ იერს, რომლის გაუნელებელი ხიბლიც პატარა დღესასწაულად აქცევდა მის გაცნობას, ხოლო ინტელექტუალურ ბედნიერებად- მასთან მეგობრობას...

ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას თანაკურსელთათვის ვატა როდონაია იყო პირუთვნელი მსაჯული მათი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯებისა. რა მკაცრიც არ უნდა ყოფილიყო მისი განსჯა, არც ერთი განხიბლული ახალბედა არ ეურჩებოდა მის „განაჩენს." უთუოდ გრძნობდა, როგორი აბსოლუტური ლიტერატურული სმენა, როგორი უშურველობა, როგორი პასუხისმგებლობა და ზნეობრივი მუხტი ასაზრდოებდა ამგვარ გულ-

>>>>>>>>>>> 9

9

# გამოთხოვება ვახტანგ როდონაიასთან

წრფელობას. ეს საშური თვისებები ვატას მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰ ყვა და მრავალი თანამოაზრე და მადლიერი თაყვანისმცემელი შესძინა; აქაიქ, შესაძლოა, მტერიც. მაგრამ, მისდა საქებრად, ვატა არასდროს ეძებდა საყოველთაო აღიარებას-იგი განასახიერებდა იმ იშვიათ ტიპს ადამიანისას, რომელიც შეგნებულად გაურბის გაჩირაღდნებულ ავანსცენას და განაპირების მყუდრო ჩრდილქვეშ წლობით, თავმოდრეკითა და რუდუნებით აკეთებს თავისი ცხოვრების მთავარ საქმეს.....

დღევანდელი გადასახედიდან ეს „მთავარი საქმე“ განმანათლებლობა იყო, ოღონდ ამ სიტყვის უფრო ძველბერძნული გაგებით: როდესაც უნივერსალურად განსწავლული ადამიანისთვის თავისი ცოდნის, ეთიკური თუ ესთეტიკური მსოფლაღქმის გაზიარება ერთგულ შეგირდთა (სტუდენტთა) აუდიტორიისათვისა თუ შემთხვევით მსმენელთათვის იმდენად ღირებულია, ისეთ ინტელექტუალურ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ამ უკიდეგანო ერუდიციისა და სიღრმისეულ წვდომათა ქაღალდზე გადასატანად ზოგჯერ აღარც დრო რჩება და აღარც ძალა... ამით აიხსნება ვახტანგის ესეისტური მემკვიდრეობის მოკრძალებული მოცულობა თუ იმ „თვითუკმარისობის სენით“, რომლითაც ზოგჯერ „ავადდებიან“ სრულყოფილების იდეალით შეპყრობილი შემოქმედნი, ძნელი სათქმელია...

ვახტანგს, „რაოდენობის ხარისხში გადასვლისა“ არ სჯეროდა და უმკაცრესი რედაქტორის თვალით გარანდა ის ლიტერატურულ-ისტორიული წერილები, რომლებიც ღირსად ჩათვალა ქართულ პერიოდიკაში გამოსაქვეყნებლად. თუკი ეს პუბლიკაციები წიგნად მოიყრის თავს, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი მკითხველი XX ს. ბოლოსა და XXI ს. დასაწყისის ქართული ესეისტიკის დახვეწილ ნიმუშებს იხილავს. ამ, მომავალი კრებულის ერთგვარ „ღერძად“ აღიქმება სტატია_„თხუთმეტსაუკუნოვანი ლიტერატურა“, რომელიც დღესაც ისეთივე ინტერესით იკითხება, როგორც პირველი გამოქვეყნებისას ჟურნალ „XX საუკუნეში“. განსაკუთრებით ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებდა ვახტანგს ჟურნალთან „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ (1988 წლიდან- „ბალავარი”), რომელსაც თამაზ კვაჭანტირაძე რედაქტორობდა, ვახტანგი კი რედკოლეგიის წევრი და რედაქტორის მოადგილე გახლდათ. აქ გამოქვეყნდა მისი ნატიფი ისტორიულ-ლიტერატურული ესეები: „იკორთა“, „ნინოწმინდა“ (ტაძრისა და ლეონიძისეული ლექსის „პარალელური ბიოგრაფიებით“), „ბეთანია“, „რკონი“; 1988 წლით დათარიღებული-„ მხნედ მიითვლიდა მახვილსა“, რომელშიც მკითხველს გამძაფრებულ ეროვნულ სატკივართა ფონზე ვატამ ახლებურად წააკითხა იოანე საბანისძის უკვდავი ნაწარმოები.

ვახტანგი, ისევე, როგორც ნებისმიერი ჩვენგანი, განურჩეველი ვერ დარჩებოდა მის თვალწინ დატრიალებული საზოგადოებრივი ვნებათაღელვებისადმი, მაგრამ მის მეგობრებს კარგად ახსოვთ, როგორ აწონასწორებდა მისი ფილოსოფიური სიდინჯე სრთთა მალემრჭმენობას, ხოლო ირონია- მეორეთა პოლიტიკურ ამბიციებსა და კატეგორიულობას (თავად ვატა „მარადიული უპარტიო“ იყო). ასეთივე გაწონასწორებული ჩანდა ვატა ოჯახურ წრეში, სადაც ცხოვრების ერთგული თანამგზავრი-მანანა და სამი უსათნოესი ქალიშვილი უმშვენებდნენ გვერდს და სადაც სულიერი თანაზიარობისა და ურთიერთპატივისცემის სული სუფევდა.

გადიოდა წლები, ვატას აუდიტორია კვლავინდებურად მისი განსწავლულობით, იუმორითა და ზეპირი ნოველებით მოხიბლული მსმენელებისაგან შედგებოდა. ოღონდ, თანშეზრდილ მეგობრებს მათი შვილები ენაცვლებოდნენ, მოწაფეებს კი- სტუდენტები. თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც ვახტანგი გელა კანდელაკისა და კოტე ჯანდიერის თხოვნით მიიწვიეს, დღემდე ახსოვთ მისი განუმეორებელი ლექციები... გელა კანდელაკთან მეგობრობას, როგორც ჩანს, თავიდანვე ძლიერი შემოქმედებითი მუხტი ასაზრდოებდა და შემთხვევითი არ იყო, რომ ამ რეჟისორმა თავისი მომავალი კინემატოგრაფიული შედევრის- „სოფლის“ სცენარის თანაავტორობა სწორედ ვატას შესთავაზა.

ასეთივე სულგანაბული მსმენელები დახვდნენ ვახტანგს ქართული საეკლესიო გალობისა და ხალხური სიმღერის უმაღლეს სასწავლებელში, სადაც იგი ქართული მრავალხმიანობის ამაგდარმა- ანზორ ერქომაიშვილმა მიიწვია.სახელოვანი ლოტბარი ამ დროისათვის საშვილიშვილო საქმეს ახორციელებდა: მსოფლიოში გაბნეულ ქართული ხალხური სიმღერების უცნობ ფონოჩანაწერებს აგროვებდა. ერთობლივი თანამშრომლობა აქაც შედგა- უნიკალური ფონოჩანაწერების ალბომს დართული ტექსტის შედგენისას. ნებისმიერი მსმენელისა და მკითველისათვის ეს ძვირფასი გამოცემა ქართული სასიმღერო გენიის უტყუარი დასტურია. მაგრამ, ვინც კი შესწრებია ანზორ ერქომაიშვილისა და ვახტანგ როდონაიას თავდადებული მუშაობის პროცესს, ყველაფერთან ერთად, ამ ალბომს მათი ღირსეული ქართველობისა და მეგობრობის სიმბოლოდაც აღიქვამს.

გასული საუკუნის დასასრულიდან, ვახტანგის კიდევ ერთ ტალანტს მიეცა ასპარეზი. ეს ტალანტი, ისევ და ისევ, „განმანათლებლობის“ სფეროდან იყო, ოღონდ, ამჯერად უკვე ამ სიტყვის უფრო საგნობრივი მნიშვნელობით: მან უხელმძღვანელა პროფესიონალ ფილოლოგთა ჯგუფებს, რომელთაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწიეს ქართულ სკოლას-შექმნეს თვისობრივად ახალი, საბჭოური კლიშეებისაგან თავისუფალი, მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივ ინტერესებზე გათვლილი სახელმძღვანელოები ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ეს წიგნები იმდენად პოპულარული გახდა, რომ ვატას მეგობრები ახლა უკვე მასზე ხუმრობდნენ: „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის ვატა!“ და აღარავის აკვირვებდა წიგნის მაღაზიაში გაგონილი: „ორი როდონაია მომაწოდეთ!“

თავად „როდონაია“- ერთადერთი და უცვლელად მიმზიდველი, დადიოდა იერშეცვლილ ქალაქში, სადაც ქუჩაში სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდნენ ძველი ნაცნობ- მეგობრები; ის მოწაფეები კი, სასკოლო ზურგჩანთები სწორედ „როდონაიას წიგნებით“ რომ ჰქონდათ დამძიმებული, სახეზე ვერ ცნობდნენ თავიანთ დამკვალიანებელს და უკანმოუხედავად ჩაურბენდნენ ეშმაკურად მოღიმარ უცნობს...

ვახტანგი კვლავინდებურად ერიდებოდა ხალხმრავალ დარბაზებს, ტელევიზიის კამერებს, მისკენ მომართულ ფოტოობიექტივებს და საფიქრებელია, რომ მისი მიზეზით შეკრებილი ერთადერთი ხალხმრავლობა, სადაც იგი მშვიდად განისვენებდა, სიონის ტაძარში მასთან უკანასკნელი გამოთხოვება იყო...

**ზაზა აბზიანიძე.**

***ბოლო წლების მანძილზე ხობის მუნიციპალიტეტში გაჩნდა სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა, რაც მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალურია და იგი ასოცირდება დროგასულ და მოძველებულ მილებთან. მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები ადამიანები წყლებს ვედროებით ეზიდებოდნენ, უმჯობეს შემთხვევაში წყლის სატუმბი საშუალებით იმარაგებდნენ, რომელიც თავისთავად დიდ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. პრობლემები იყო ასევე წყლის დანახარჯთან და ტარიფებთან.***

***დღეის მდგომარეობით „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ხობის მუნიციპალიტეტში ახორციელებს წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციას. შესაბამისად, გადაწყდება წყალმომარაგების ის პრობლემური საკითხები, რომელიც გარკვეულ სექტორსა და უბანშია შექმნილი.***

***ამჟამად წყალმომარაგების ახალი ხელმძღვანელი ბატონი გოჩა შანავა ყავს. იგი დაიბადა და გაიზარდა ქ. ზუგდიდში. დაამთავრა ზუგდიდის №3 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩააბარა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ენერგეტიკულ ფაკულტეტზე. 2012 წლის ოქტომბრის თვიდან ხელმძღვანელობს ხობის წყალმომარაგების სამსახურს.***

***ჰყავს მეუღლე ნანა კვარაცხელია და სტუდენტი შვილები–მარიამი და გოგა.***

***ბატონი გოჩა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ წყალმომარაგების სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს და საერთოდ, მოსახლეობას ცხოვრების და მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონდეთ. დღენიადაგ ზრუნავს მათი კეთილდღეობის ამაღლებაზე...***

***თუ რა მდგომარეობაა დღეისთვის წყალმომარაგების სამსახურში, რა გაკეთდა, რა გაუმჯობესდა და რა სიახლეებია მოსალოდნელი, მივმართეთ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სამეგრელო ზემო-სვანეთის და გურიის რეგიონალური ფილიალის უფროსს ბატონ გოჩა შანავას:***

# დრეპით ჩაწყვეტილი წყალმომარაგება აღსდგება...

***ბატონო გოჩა, ხობის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლით მომარაგება ერთ-ერთი პრობლემური საკითხია. აგვიხსენით დღევანდელი რეალური მდგომარეობა და შემდგომში ამ მიმართულებით რა იქნება პრიორიტეტული?***

–ქ. ხობის წყალმომარაგება

ხობის ცენტრალური სატუმბი სადგურიდან 4 ჭაბურღილის მეშვეობით ხორციელდება, სადაც ჩამონტაჟებულია „ეცვ“ ტიპის ტუმბოები, საიდანაც ამოტუმბული წყალი ჩაედინება შემკრებ რეზერუარში და ჰორიზონტალური ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება მომხმარებელს. დღეის მდგომარეობით ხობში შენარჩუნებულია 15 საათიანი მიწოდების გრაფიკი.

***არსებობს თუ არა სტრუქტურა, რომელსაც ევალება შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე წყლის სისტემის კონტროლი და რაში ხედავთ გამოსავალს?***

–2012 წელს განხორციელდა 400000 ლარიანი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სადაწნევო ავზის სრულ რეაბილიტაციას, 7 კმ. მაგისტრალური ქსელის შეცვლას და ჭიხუს დასახლების, გორგასლის ქუჩის და ც. დადიანის ქუჩის (ზუგდიდის მიმართულებით) მოსახლეობის წყალმომარაგებას. აღნიშნული პროექტი დასრულებულია და ამ დღეებში შევა ექსპლოატაციაში.

***ქალაქის გარკვეულ უბნებს (მაგალითისთვის ჩემს უბანს მოვიყვან) 20 წელზე მეტია წყლის პრობლემა გვაქვს. არ მოგვეწოდება სასმელი წყალი, რაში ხედავთ გამოსავალს და იქნება თუა არა ეს საკითხი უახლოეს დროში მოგვარებული?***

–რაც შეეხება თქვენი უბნის წყალმომარაგებას, დღეის მდგომარეობით რთულია წყლის დებეტისა და მთლიანად მოშლილი ძველი, ამორტიზებული მაგისტრალის გამო, მაგრამ ხობში წყალმომარაგების გაუმჯობესებისათვის რადიკალური ცვლილებები იგეგმება. ეს საკითხიც აუცილებლად იქნება მოგვარებადი. მალე მთელ მუნიციპალიტეტში აღდგება წყალმომარაგება. არც მაღალსართულიან სახლებს ექნებათ პრობლემა, რაც სადაწნევო ავზის ამოქმედებით აისახება.

***სოფლებში განხორციელდა თუ არა წყლის რეაბილიტაციის პროექტები და ხომ არ არსებობს მისი რეაბილიტაციის გრაფიკი, რამდენ ხანში ფიქრობთ პრობლემის სრულად მოგვარებას?***

–ხობის გამგეობასთან შეთანხმებით წყალმომარაგების კომპანიის მიერ შემუშავებულია 2900000 ლარიანი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ხობის მუნიციპალიტეტში არსებული სატუმბი სადგურების მთლიანად შეცვლას, მაგისტრალური და გამანაწილებელი ქსელების სრულ რეაბილიტაციას, ქ. ხობის მოსახლეობის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას. პირველ ეტაპზე ქალაქში 1000 მრიცხველი დამონტაჟდება. მეორე ეტაპი კი ყველა დარჩენილი მოსახლეობის პრობლემის მოგვარებას ითვალისწინებს. უდაოა, რომ აღნიშნული პროექტის გარხორციელება ხობის მუნიციპალიტეტში არსებულ წყლის პრობლემას მოხსნის.

***რა მექანიზმებით ხდება სასმელი წყლის საფასურის გადახდა? სადღეისოდ როგორია ტარიფები და იგეგმება თუ არა მისი შეცვლა?***

–დღეის მდგომარეობით ხობში წყლის ტარიფი ერთ სულ მოსახლეზე 1,77 ლარს შეადგენს, ხოლო, რაც შეეხება ტარიფებს, ამაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ, ამას საქართველოში ეროვნული მარეგულირებელი კომისია აწესრიგებს.

***ხობის მოსახლეობა ნაკლებად ინფორმირებულია თქვენი სამსახურის ფუნქციებით. რას იტყვით ამაზე?***

–ძირითადად ჩვენი სამსახურის ფუნქციებია აბონენტებთან ურთიერთობა, წყალმომარაგებით უზრუნველყოფა და ექსპლოატაცია.

***როგორ გესახებათ თქვენი სამსახურის მომავალი?***

–მე მხოლოდ წარმატებულ მომავალს ვხედავ.

***წარმატებებს გისურვებთ ბატონო გოჩა, სასიამოვნო და საინტერესო იყო თქვენთან საუბარი.***

–გმადლობთ!

**ნანა კემულარია.**

## ს უ ლ თ ა თ ა ნ ა

# აპოლონ სართანია

გარდაიცვალა ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება აპოლონ გიორგის ძე სართანია. კაცი, რომელმაც გარკვეული წილი დაიდო რაიონის სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და განვითარებაში. იცხოვრა ისე, რომ საზოგადოებას მისი ხანდაზმულობის მიუხედავად, დღემდე შემორჩა მისადმი პატივისცემა და სიყვარული.

აპოლონ სართანია 1923 წელს დაიბადა სოფელ ხეთაში. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ხეთის და პირველი ხორგის კოლმეურნეობების თავმჯდომარედ, ნოჯიხევის და თორსის მეურნეობების მთავარ აგრონომად, ახალი სოფლის მეღორეობის საწარმოო გაერთიანებაში დირექტორის პირველ მოადგილედ.

ბატონი აპოლონი წლების განმავლობაში იყო ხობის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე–მთავარი აგრონომი.

სადაც კი იმუშავა, ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მისი ღვაწლი დააფასა საზოგადოებამ და ხელისუფლებამ. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო, „შრომის წითელი დროშის“, „საპატიო ნიშნის“ ორდენები.

აპოლონ სართანიამ სახელოვნად განვლო ცხოვრების გზა.

რესპუბლიკის დამსახურებულ აგრონომთან ქალბატონ სერაფიმა ბუკიასთან ერთად ორი შვილი გაზარდა. როგორც თავად იყვნენ, ისეთივე სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარენი, განსწავლულები, კეთილსინდისიერები.

დროს თავისი მიაქვს. დასანანია, რომ ამ ქვეყნიდან მიდიან ასეთი დამსახურებული ადამიანები, თუმც სასიამოვნოა, რომ აპოლონ სართანიას სიცოცხლე სახელოვან მონაგარში–შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გაგრძელდება. ჩვენ, მისი თანამშრომლები, ყოველთვის თბილად და სიყვარულით მოვიგონებთ მის ლამაზ ცხოვრებას, პეწიან, გულთბილ და კეთილშობილ პიროვნებას.

ნათელი დაადგეს მის საფლავს.

***ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები.***

# ნორა მხეიძე

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლის ყოფილი პედაგოგი ნორა მხეიძე.

წარმოშობით მარტვილელმა ქალბატონმა თავისი ცხოვრება საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს კოტე ფილიპიას დაუკავშირა და მას შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნე ჩვენს სკოლაში ასწავლიდა გერმანულ ენასა და ლიტერატურას. ერთგულად და პასუხისმგებლობით ემსახურებოდა ამ რთულ საქმეს. ის იყო საუკეთესო პედაგოგი, ჰუმანური ადამიანი. მას უსაზღვროდ უყვარდა თავისი აღსაზრდელები. ქალბატონი ნორა თავის კოლექტივში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით–გამორჩეული პიროვნული თვისებებით, სათნოებით და სულიერებით. იყო თბილი და ყურადღებიანი, საუკეთესო დედა, ერთგული მეუღლე და საიმედო კოლეგა.

პირველი მაისის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი უღიდეს ტკივილს გამოვხატავთ ნორა მხეიძის გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

***ესტატე შუშანიას სახელობის პირველი მაისის საჯარო სკოლა.***

# ხუტუ გადელია

ძვირფასო მამა, 28 იანვარს სანთლები აგინთეთ და უფალს შევთხოვეთ შენი სულის სიმშვიდე.

ვალმოხდილი წახვედი ამ ქვეყნიდან, სახელოვნად ზიდე ცხოვრების ჭაპანი, იყავი არაჩვეულებრივი მეუღლე, მამა, ბაბუა, ძმა და მეგობარი. გვეამაყება, რომ ნათესავები, მეგობრები, ახლობლები, მეზობლები, ნაცნობები დიდი სიყვარულით იხსენებენ ხუტუ გადელიას გაცემულ სითბოსა და თანადგომას.

ჩვენთვის არასოდეს განელდება უშენობით გამოწვეული ტკივილი. გჯეროდეს, შენს დანოტოვარ თითოეულ სიტყვას თუ დარიგებას, კვლავაც გავუფრთხილდებით, არასოდეს მივაყენებთ ჩრდილს შენს სახელს, ნათელ ხსოვნას.

მივალთ საფლავზე, აგინთებთ სანთლებს და მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის.

***შენი შვილები: მზია, ზოია, ლალი, იგორი, ნოდარი გადელიები.***

# თემურ თოფურია

ხობელმა მედიკოსებმა უკანასკნელ გზაზე დიდი გულისტკივილითა და სიყვარულით გავაცილეთ ჩვენი კოლეგა–ხობის ცენტრალური საავადმყოფოს ანესთეზიოლოგი თემურ თოფურია.

ყველას ახსოვს 80-იან წლებში ორი ახალგაზრდა ექიმის გინეკოლოგი ლალი დამენიას და ანესთეზიოლოგ თემურ თოფურიას ხობში ჩამოსვლა. ისინი სენაკიდან იყვნენ, მაგრამ მათი, როგორც ექიმების პირველი „ნათლობა“ ხობიდან დაიწყო. ამ ლამაზ წყვილს ყველა შენატროდა... და ასე გავიდა ათეული წელი. გავიდა დრო და ცხოვრებაც თემურის გულისტკივილითა და მოულოდნელი გარდაცვალებით დასრულდა. მან კოლეგებსა და პაციენტებში დიდი სითბო, პატივისცემა დაიმსახურა. იგი ახლახან, 15 იანვარს, მეუღლის დაბადების დღეს გარდაიცვალა.

მოსიყვარულე, ხალისიანი, ყურადღებიანი, კეთილი–ასე გვახსოვს ყველას თემური. მას თავისი მოსიყვარულე და კეთილი გულის გამო „სიყვარულოვიჩს“ ვეძახდით. არადა, თავადაც 14 თებერვალს–სიყვარულის დღეს გახლდათ დაბადებული.

საავადმყოფოს თანამშრომლები–ექიმები, მედდები და ტექნიკური მუშაკები ვწუხვართ ამა ქვეყნიდან მისი უდროოდ წასვლით.

თემურ, გიგონებთ და ვწუხვართ შენი გარდაცვალებით. უშენოდ გილოცავთ დაბადებისა და სიყვარულის დღეს! ვიცით, ორივე ძალიან გიყვარდა. ძალიან გვაკლიხარ. კარგი იყო შენი თავი უფრო მეტად გყვარებოდა!

კოლეგავ, შენთვის დანთებულმა წმინდა სანთლებმა გაგინათოს ცათა სასუფეველი!

***ხობელი მედიკოსები.***

# კარლო ბერაია

არიან ადაიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით და საქმიანობით კვალს ტოვებენ ქვეყნის აღმავლობასა და წინსვლაში, ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება კარლო ბერაია, რომელიც იყო ჭეშმარიტად პროფესიონალი, თბილი და მეგობრული. ათეული წელი მუშაობდა ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარ ბუღალტრად მაღალი პასუხისმგებლობით, ერთგულად და დიდი მონდომებით. მუდამ გვასწავლიდა გაჭირვებულების მხარში ამოდგომას, უყვარდა ახალგაზრდა სპეციალისტების ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბება, სადღესასწაულო ღონისძიებებზე აქტიური მხარდაჭერა, მის გვერდით მუდამ ტრიალებდნენ ღირსეული ადამიანები აწგანსვენებულები: ვლადიმერ კილასონია, რუბენ თუთბერიძე, ვალიკო ზარანდია, ვარლამ ხურცია, ვლადიმერ ჩხაიძე, ვალოდია ტორჩინავა, პაშა გადელია, კარლო კორტავა, ალიოშა წურწუმია, ვახტანგ დოლბაია, ნოდარ კარტოზია, ირაკლი და ვასო ჭითაშვილები, ლავრენტ სახეიშვილი, აპოლონ სართანია...

ბატონ კარლოს დარჩა შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე ქალბატონი გულნარა ბერაია, შვილები მალხაზი, მურთაზი, მაია. შვილიშვილები, შვილთაშვილები და ბადიშები, რომლებიც იამაყებენ, რომ მისი შთამომავლები არიან.

ჩვენო „პლატონიჩ“, როგორც სიცოცხლეში, იცოდით, ახლაც დაგვმოძღვრე რომ თქვენსავით ლამაზად და ჭეშმარიტად განვლოთ აწ გასავლელი წუთისოფელი.

ბატონო კარლო, საიუბილეო თარიღი 80 წელი 20 თებერვალს გისრულდებოდათ, გილოცავთ! იძინეთ მშვიდად, გვჯერა, თქვენს მიერ განვლილი ღირსეული ცხოვრებით სამუდამო სასუფეველში იქნებით.

***ვერა ქირია.***

# ქეთინო გვათუა

სევდა-ნაღველმოძალებული წელიწადიც გაილია, ქეთი. მანამდეც არ ვიყავი ბედისაგან განებივრებული, ტკივილი არასოდეს მაკლდა... შენც ბედის ნებიერა არა, მაგრამ ბედნიერი დედა და ბებია იყავი. განათლებული, სტუმართმოყვარე, სიკეთის გამცემი და დამნახავი, სხვათა ჭირისა და ლხინის მოზიარე, დამხმარე და ხელისგამწვდენი.

შენგან იმდენი სითბო მოდიოდა, გათბობდა და შენთან ყოფნის სურვილს აღძრავდა. შენთან დაშორებამ ახლობლები და მეგობრები დაგვზაფრა. თითქოს ურთიერთობებსაც ყავლი გაუვიდა. შენს ნალოლიავებ ყვავილნარსაც ფერი დაეკარგა. იშვიათია ისეთი სიყვარულიანი და დიდი მონატრება, რომელიც შენს მოგონებას თან ახლავს. ალბათ იმიტომაცაა, რომ შენი ოჯახი–შვილი, შვილიშვილები, სიძე, დები, ძმა განსაკუთრებული სიყვარულით ეკიდებიან ყველაფერს, რაც შენს სახელთანაა დაკავშირებული. მჯერა, დღეს უფრო ბედნიერი ხარ ქეთი (აუცილებლად შენი სული იგრძნობდა ამას), რადგან შენმა ნებიერა დისშვილმა, შენმა მელანომ საუკეთესო არჩევანი გააკეთა, ოჯახი შექმნა და შენი ოცნება აახდინა... ვინ იცის ამას მერამდენედ გილოცავ, ქეთი. ხშირად გესაუბრები, მიყვარხარ და გთხოვ მაპატიე, ისე ვერ მოგეფერე, როგორსაც იმსახურებდი. ამაშიც შენი დიდსულოვნების იმედი მაქვს...

***უდიდესი მონატრებით***
***მერი ლაგვილავა.***

# რამის კემულარია



დამღლელია ყოფა, როცა საყვარელი ადამიანი გეცლება და ვეღარაფერს შველი. ძნელია და მომქანცველი მონატრება მისი.

რამის! თვალცრემლიანები გილოცავთ დაბადების დღეს. ამასწინათ 66 წლის გახდი. ულმობელმა სიკვდილმა არ დაგაცალა, მარადისობამ მიისაკუთრა შენი მოსიყვარულე გული. ჩვენი ნუგეში მხოლოდ ცრემლებია და ჩვენი შვილების ბედნიერ მომავალზე ფიქრი. გვენატრება შენი სითბო და თანადგომა. ვეფერებით შენს სურათებს, შენი მოგონება თითქოს შენს არყოფნას ამსუბუქებს, თითქოს ისევ ჩვენს შორის ხარ...

არც შენი საყვარელი მეგობრები გივიწყებენ, დამიჯერე, დღემდე ისევ ისე უყვარხართ, არაფერს აკლებენ შენს ხსოვნას, საფლავზე ხშირად გაკითხავენ და გეფერებიან, მათ არც წელს გამორჩენიათ შენი დაბადების დღე...

ჩვენო რამის, კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს, უფალს შევთხოვთ, რომ დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი. ჩვენ არასოდეს მოგვწყინდება შენს სპეტაკ სულზე ზრუნვა.

გვიყვარხარ და გვენატრები!

***ოჯახი.***

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ავთანდილ სართანიას ოჯახს მამის დამსახურებული პიროვნების, ღვაწლმოსილი ადამიანის

**აპოლონ სართანიას**

გარდაცვალების გამო.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის ხობის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა შრომის ვეტერანი დამსახურებული მასწავლებელი

**ეთერ კვიკვინია**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს თეა ვადაქარიას მამის

**სერგო (კიჭო) ვადაქარიას**

გარდაცვალების გამო.

შვილები ლონდა, ავთანდილი. რძალი დარეჯან კვარაცხელია, სიძე რომეო მიმინოშვილი. შვილიშვილები მაკა, ლევანი მიმინოშვილები, ანანო სართანია. შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აპოლონ სართანია**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო სამძიმარს უცხადებს საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს გოცჩა ქაჯაიას მამიდის

**მერი ქაჯაია-კვარაცხელიას**

გარდაცვალების გამო.

შვილი ანზორი. და ლუბა. ძმები ნოე და ზაურ ქაქუთიები, დისშვილები: ბადრი, თამაზი, ლალი, ლუიზა, ბროლა სიორდიები. ჯემალი, ვალტერი, მამუკა ადონიები. ძმისშვილები მანანა, ზოია, ავთანდილი, პაატა, გია, მადონა. მაზლი ჯემალი, იურა და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მიმოზა ბიქტორის ასული ქაქუთია–ბიბილეიშვილის**

გარდაცვალებას.

ოჯახი მადლობას უხდის ქ. ხობის ნინოშილის ქუჩის მცხოვრებლებს და პირადად ნუგზარ წოწონავას თანადგომისა და თანაგრძნობისათვის.

გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ყოფილი სტამბის ლინოტიპისტს ავთანდილ კუკავას დედის

**ეთერ კუკავას**

გარდაცვალების გამო.

ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის ხობის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა სამამულო ომის მონაწილე

**გიორგი გაბესკირია**

და სამძიმარს უცხადენენ გარდაცვლილის ოჯახს.

# დიდი ოჯახიდან დიდი მსახიობი წავიდა...

კიდევ ერთი დიდი კაცი, ქართული საზოგადოების რჩეული (სხვა ტიტულებზე არას ვამბობ) მიიბარა მშობლიურმა მიწამ.

გურამ საღარაძემ რჩეულთა შორის დაიდო ბინა. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, დაბერება ვერ მოასწრო, მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონი გურამისნაირი ადამიანები არასოდეს ბერდებიან, პირიქით, რაც დრო გადის, უფრო დიდ სიყვარულსა და მოწიწებას იმსახურებენ.

დღეს მისი ცხოვრების წარსულის ამსახველი, წლების წინათ ჩემი გადაღებული ფოტო, მინდა შევთავაზო მკითხველს. ხამისქურში, პიერ კობახიძის სახლ-მუზეუმის ამფითეატრში გადაღებული. ნიშნად იმისა, რომ ხობის კულტურის სახლს ხშირად „აზანზარებდა“ მისი ხმა.

სიცოცხლეში დიდი სცენიდან გვმოძღვრავდა: „ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, უკან მოხედვისა არ ეშინოდესო“. ბატონი გურამის ცხოვრება ამის ნათელი მაგალითი იყო.

დასანანია, რომ გურამ საღარაძე წავიდა. მან საგზლად დიდი სიყვარული გაიყოლა...

***მერი ლაგვილავა***



**თარაზულად:** 1. ვეტერანი ქართველი კალათბურთელი; 5. გარეული მტრედი; 8. სიმებიანი საკრავი; 9. ქვეყანა აფრიკაში; 10. ავსტრალიელი კომპოზიტორი; 11. დათო მაღრაძის ლექსი; 12. იაპონური დეკორატიული ხელოვნება; 16. ზრდადაუმთავრებელი ქათამი; 17 ქვეყანა ევროპაში; 18. ამერიკის შტატი; 19. სევდა; 21. დეკორატიული ძაღლის ჯიში; 24. ტროპიკული ხილი; 27. მუხლის მოდრეკა და წელში მოხრა ლოცვისას; 29. რეზინის ფეხსაცმელი; 30. რისამე თავისთვის სამარცხვინოდ მიჩნევა. 34. განთიადი.

**შვეულად:** 2. წარწერა საფლავის ქვაზე; 3. ნაგვის ასაღები ნიჩაბი; 4. მიწის თხილი; 5. აღმოსავლური ხემიანი მუსიკალური საკრავი; 6. ფრანგი ფერმწერი; 7. უბანი თბილისში; 13. ქართველი პოეტი ქალი; 14. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 15. მომთაბარეობა; 20. მხარე საქართველოში; 22. ძვ. ბერძენი მათემატიკოსი; 23. გამჭვირვალე წყალბაუვალი შესაფუთი მასალა; 25. თურქმენეთის დედაქალაქი; 26. გარდიგარდმო; 27 ბერმანული ავტომობილი; 28. ლადო ასათიანის პოემა.

# გრიპის შემთხვევები კლებას მარტის შუა რიცხვებიდან დაიწყებს

საქართველოში, 2012-2013 წლების გრიპის სეზონზე (სეზონი იწყება წლის მე-40 კვირიდან და მთავრდება შემდეგი წლის მე-20 კვირას) გრიპის ვირუსის პირველი ლაბორატორიული დადასტურება დაფიქსირდა 48-ე კვირაში, რაც მიუთითებდა ამ სეზონზე გრიპის ვირუსის აქტიურ ფაზაში შესვლის დასაწყისს. აღნიშნულ ფაქტზე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრების მეშვეობით, ინფორმირებულიქნა ყველა სამედიცინო დაწესებულება და გაიცა რეკომენდაცია გრიპის სეზონთან დაკავშირებული სამედიცინო ქმედებების გააქტიურების შესახებ.

როგორც წესი, გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე მთავრდება გამოჯანმრთელებით. თუმცა, გრიპი ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია გართულდეს, უფრო იშვიათად კი-გამოიწვიოს ლეტალური გამოსავალიც კი.

ქვეყანაში 2013 წლის მე-3 კვირიდან აღინიშნება გრიპისმაგვარი დაავადებებისა (ILI) და მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექციების (SARI) მატების ტენდენცია. მსოფლიო გამოცდილებით, გრიპის სეზონური მატება შენარჩუნებული იქნება მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში.

***გრიპის ფართო გავრცელებისას რეკომენდებულია არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენება, კერძოდ:***

• უმჯობესია დაავადებული ადამიანები დარჩნენ სახლში: ამით დაიცავენ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას - დაავადების გავრცელებისგან;

• ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანონ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა;

• რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი;

•გამოიყენეთ სველი წესით დალაგება;

• იმ შემთხვევაში თუ დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და უჩვეულოდ ან დაავადებული მიეკუთვნება გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფს, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მისაღებად.

***გრიპის მძიმე მიმდინარეობის ნიშნებია:***

• გახანგრძლივებული (3 დღეზე მეტი) მაღალი ცხელება (38 გრადუსზე მეტი•

• სუნთქვის გაძნელება;

•ქოშინი;

•ციანოზი;

•ტკივილი გულმკერდის არეში;

•სისხლიანი ან მოვარდისფრო ნახველის გაჩენა;

• ბავშვებში - ღებინება ან ყლაპვის გაძნელება, კრუნჩხვები.

***გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფებია:***

• გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი;

•დიაბეტით დაავადებულნი;

• მცირე და ხანდაზმული ასაკი;

• ორსულები.

# გაჭირვებულების დახმარება სიცოცხლეს ახანგრძლივებს

კეთილშობილება არა მხოლოდ მორალური ღირებულებაა, იგი ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა, - დაამტკიცეს მეცნიერებმა.

კვლევამ, რომელიც ხუთი წელი 846 მოხალისეზე ტარდებოდა, აჩვენა, რომ ის, ვინც ახლობლებს ხშირად ეხმარება, გულგრილ ადამიანებზე დიდხანს ცხოვრობს.

ბუფალოს უნივერსიტეტის მეცნიერმა მაიკლ პოულინმა გაარკვია, რომ ადამიანები, რომლებიც კეთილშობილებით გამოირჩევიან, სტრესულ სიტუაციებში იშვიათად იღუპებიან. სტრესულ სიტუაციებში მეცნიერები მძიმე დაავადებებს, ძარცვას, ფინანსურ კრიზისსა და ახლობლების გარდაცვალებას გულისხმობენ.

კვლევის მონაწილეებს, ასევე მათ მეგობრებსა და ახლობლებს, უსვამდნენ კითხვას: ბოლო 12 თვის განმავლობაში რამდენად ხშირად ეხმარებოდნენ ადამიანებს?

„რამდენიმე წლიანი დაკვირვების შემდეგ გავარკვიე, რომ ადამიანები, რომლებიც სხვის უბედურებას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ საქმით იზიარებენ, სტრესს უკეთ უმკლავდებიან, ეს კი თავის მხრივ, ავადმყოფობისა და სიკვდილის რისკს ამცირებს“, -აღნიშნავს მეცნიერი.

მეცნიერების აზრით, სოციალური იზოლაცია და გულგრილობა, პირიქით, ცხოვრების ხარისხსა და ხანგრძლივობაზე ნეგატიურად აისახება.

„დიდსულოვანი ადამიანები, რომლებიც ქველმოქმედებას მისდევენ, როგორც წესი, მორწმუნეები არიან. რწმენა და ლოცვა მათ სტრესისა და კრიზისული სიტუაციის გადატანაში ეხმარება. გარდა ამისა, თანაგრძნობის მქონე ადამიანს გაცილებით ადვილად შეუძლია დახმარება ითხოვოს და იგი დანაშაულის გრძნობის გარეშე მიიღოს“,- თვლის ფსიქოლოგი ივეტა შანგინი.

*დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*
*გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“*
*სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.*
*თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.*
*რედაქტორი–მანანა შულაია.*
*ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.*
*კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.*
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.